180
1974/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5

სექტემბერი-ოქტომბერი

1974 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 სექტემბერი—ოქტომბერი 1974 წ.

12629

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

71. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 12 ივლისის № 565 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
72. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 15 აგვისტოს № 589 დადგენილების 1-ლი და მე-2 პუნქტების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
73. ნაკლებუზრუნველყოფილი ბავშვებიანი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების შემდგომი გადიდების შესახებ
74. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის „საქსათბურმშენის“ შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

75. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 12 ივლისის № 565 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
76. კასპის საქალაქო საზღვრების შესახებ

ეროვნ. ბიბლ. სახ. საქ. სსრ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

77. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 26 დეკემბრის № 2495 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
78. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 2 ივლისის № 538 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
79. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ
80. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების გამოყოფისას მიწათმოსარგებლეთათვის ზარალისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ანაზღაურების შესახებ
81. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისათვის მცხეთის რაიონის სოფელ ძალისში არქეოლოგიური გათხრების წარმოების ნებართვის შესახებ
82. საცხოვრებელი სახლებისა და აგარაკების თვითნებურად მშენებლობის შესახებ
83. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 16 მარტის № 159 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
84. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ
85. საქართველოს სს რესპუბლიკაში ელექტროგასანათებელი ქსელებისა და დანადგარების ექსპლუატაციის შემდგომი გაუმჯობესებისა და მშენებლობის ღონისძიებათა შესახებ
86 ქალაქ თბილისის საზღვრის შესახებ
87. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ
88. სასოფლო და სადაბო საბჭოების ტერიტორიაზე მოქმედი ავტოკლუბების, ავტობიბლიოთეკების, სახალხო თვითმოქმედი თეატრებისა და კოლექტივების შტატის მუშაკების უფასო კომუნალური მომსახურების შესახებ
89. მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ორგანიზაციის შესახებ
90. „საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებაში პარალელიზმის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 30 ნოემბრის № 693 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე
91. ხანგრძლივი მშრალი ამინდის გამო ხანძრის გაჩენისაგან ტყეების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ
92. საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვისას კონტეინერების არაჯეროვანი გამოყენებისათვის ტვირთგამგზავნთა, ტვირთმიმღებთა და ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციათა მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ
93. იმ მუშებისა და მოსამსახურეების, აგრეთვე მასწავლებლების, ექიმებისა და სხვა სპეციალისტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ და მუშაობენ სოფლად და უფლება აქვთ ისარგებლონ საკარმიდამო მიწის ნაკვეთით

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

71 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 12 ივლისის № 565 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„კოლმეურნეობათა შესახებ სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 12 ივლისის № 565 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-13 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 12 ოქტომბრის № 1185 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში 1948-1949 წლის სეზონის შემოდგომა-ზამთრის ხე-ტყის დამზადების შესახებ“.

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 3 ოქტომბრის № 1332 დადგენილება „სსრ კავშირის შრომითი რეზერვების სამინისტროს საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებსა და სამთამადნო მრეწველობის სკოლებში ახალგაზრდობის მორიგი გაწვევის (მობილიზაციის) შესახებ“;

გ) მე-8 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 17 ოქტომბრის № 1440 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში 1950-1951 წლების სეზონში შემოდგომა-ზამთრის ხე-ტყის დამზადების შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 12 ივლისის № 565 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა 24-ე პუნქტი, 30-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და „გ“ ქვეპუნქტის პირველი აბზაცი და 31-ე პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 29 მაისის № 1803 დადგენილებისა „სასოფლო ელექტროფიკაციის განვითარების 1948-1950 წლების გეგმის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 15 ოქტომბრის № 1220 დადგენილებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 19 სექტემბერი, № 537.

ეროვნული ბიბლიოთეკა

72 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 15 აგვისტოს № 589 დადგენილების 1-ლი და მე-2 პუნქტების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 21 აგვისტოს № 584 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 2 ივლისის № 538 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1-ლი და მე-2 პუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 15 აგვისტოს № 589 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 26 სექტემბერი, № 540

73 ნაკლებუზრუნველყოფილი ბავშვებიანი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების შემდგომი გადიდების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 12 სექტემბრის № 748 დადგენილება „ნაკლებუზრუნველყოფილი ბავშვებიანი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების შემდგომი გადიდების შესახებ“ დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებს.

2. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს, სამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებს გაშალონ მუშაობა აღნიშნული ღონისძიების პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობის ახსნა-განმარტებისათვის და გასწიონ საჭირო მუშაობა მისი განხორციელებისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 15 ოქტომბერი, № 566

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 748

1974 წლის 12 სექტემბერი

მოსკოვი, კრემლი

ნაკლებუზრუნველყოფილი ბავშვებიანი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების შემდგომი გადიდების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის თაობაზე სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს შემოღებულ იქნეს 1974 წლის 1 ნოემბრიდან ბავშვთა დახმარება იმ ოჯახებისათვის, რომელთა საშუალო ერთობლივი შემოსავალი ოჯახის წევრზე არ აღემატება 50 მანეთს თვეში.

ბავშვთა დახმარება დაენიშნებათ და მიეცემათ 12 მანეთის ოდენობით თვეში თითოეულ ბავშვზე 8 წლის ასაკის მიღწევამდე.

2. მუშათა, მოსამსახურეთა, მოსწავლეთა, სამხედრო მოსამსახურეთა და კოლმეურნეობების წევრთა ოჯახებისათვის ბავშვთა დახმარების დანიშვნისა და გაცემისათვის მუშაობა დაეკისროთ საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, სამხედრო ნაწილებსა და კოლმეურნეობებს, ხოლო არმომუშავე პენსიონერთა და ზოგიერთი სხვა კატეგორიის მოქალაქეთა ოჯახებისათვის — სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს.

3. მუშათა, მოსამსახურეთა, მოსწავლეთა, სამხედრო მოსამსახურეთა და პენსიონერთა ოჯახებს ბავშვთა დახმარება მიეცემათ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტში გადაცემული სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე, ხოლო კოლმეურნეობების წევრთა, კოლმეურნეობების წევრ პენსიონერთა და კოლმეურნეობებში შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე მუშათა და მოსამსახურეთა ოჯახებს — კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის სახსრების ხარჯზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. შეტანილ იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში პროექტი ბრძანებულებისა „ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახებისათვის ბავშვთა დახმარებისათვის შემოღების შესახებ“.

*

* *

ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახებისათვის ბავშვთა დახმარების შემოღება ახალი სოციალურ-ეკონომიური ღონისძიებაა, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა ოჯახის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და მის განმტკიცებას, მოწმობს სოციალისტური სახელმწიფოს მუდმივ ზრუნვას მოზარდი თაობის აღზრდისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო წინადადებას აძლევენ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს, სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს გაშალონ მუშაობა აღნიშნული ღონისძიების პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობის ახსნა-განმარტებისათვის და გასწიონ საჭირო მოსამზადებელი მუშაობა მისი განხორციელებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ლ. ბრეჟნევი.**	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

74 საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის „საქსათბურმშენის“ შექმნის შესახებ

რესპუბლიკაში სასათბურო მეურნეობის მშენებლობის გეგმის შესრულების უზრუნველყოფის, სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისა და აღნიშნული მშენებლობის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ 1975 წლიდან მის სისტემაში შეიქმნას სასათბურო მეურნეობათა მშენებლობის სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაცია „საქსათბურმშენი“, და დაეკისროს აღნიშნულ ორგანიზაციას სათბურების მშენებლობისა და მონტაჟის განხორციელება რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და ყველა სამინისტროსა და უწყების სხვა მეურნეობებში.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ განახორციელოს მშენებარე სასათბურო მეურნეობათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპლექტაცია მოწყობილობით, კაბელის პროდუქციითა და სპეციალური შენ-სალებით.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა გაითვალისწინონ 1975 წლიდან საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საიჯარო სამუშაოთა გეგმებში ყველა ახალი სასათბურო მეურნეობის მშენებლობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობანი.

4. საოქმო.

5. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ სამი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს დადგენილი წესით დებულება სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის „საქსათბურმშენის“ შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 15 ოქტომბერი, №585

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

75 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 12 ივლისის № 565 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„კოლმეურნეობების შესახებ სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 12 ივლისის № 565 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 11 აპრილის № 393 დადგენილება „გზატკეცილებისა და გრუნტის გზების მშენებლობასა და შეკეთებაში სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის შესახებ“ სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1936 წლის 3 მარტის დადგენილების უხეშ დარღვევათა თაობაზე“;

— მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 6 მაისის № 562 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში

კოლმეურნეობებისათვის მოანგარიშეთა კადრების მომზადების გაუმჯობესების ზომების შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 2 სექტემბერი, № 492

76 კასპის საქალაქო საზღვრების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოწონებულ იქნეს კასპის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ წარმოდგენილი კასპის საქალაქო საზღვრების დადგენის პროექტი დანართში მოცემული აღწერილობის მიხედვით.

კასპის საქალაქო საზღვრებში ტერიტორიის საერთო ფართობი განისაზღვროს 832,6 ჰექტარით.

2. დადგინდეს, რომ აღნიშნულ საზღვრებში მოქცეული ფართობი წარმოადგენს ქალაქის მიწების ფონდს. ამ მიწებზე აეკრძალოს ყველა მიწათმოსარგებლეს ყოველგვარი სამშენებლო სამუშაოს წარმოება და მრავალწლიანი კულტურების დარგვა კასპის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შეუთანხმებლად, ამასთანავე დადგინდეს, რომ ქალაქის მიწების ფონდში შემავალი მარქსის სახელობის კოლმეურნეობისა და ოკამის საბჭოთა მეურნეობის მიწები რჩება მათსავე სარგებლობაში და მათი გადაცემა, ქალაქის ზრდა-განვითარებასთან დაკავშირებით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა მოხდეს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს კასპის საქალაქო საზღვრების დამტკიცება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 4 სექტემბერი, № 493

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 4 სექტემბრის № 493
დადგენილების დანართი

ქ. კასპის საპროექტო საზღვრები და მისი აღწერილობა

კასპის საქალაქო საზღვრების საწყის პუნქტად პირობით მიღებულია ქალაქის ფარგლების უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთი წერტილი „A“.

„A“ წერტილიდან საზღვრის ხაზი მიემართება რკინიგზის ზოლის პერპენდიკულარულად, ჩრდილო-აღმოსავლეთ მიმართულებით, გადაკვეთს რკინიგზას და გრძელდება „B“ წერტილამდე (AB მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 1300 მ-ს). „B“ წერტილიდან საზღვარი მიემართება ჩრდილოეთისაკენ, კარლ მარქსის სახ. კოლმეურნეობის მიწებზე მდებარე „C“ წერტილამდე (1150 მ); შემდეგ უხვევს აღმოსავლეთისაკენ „D“ წერტილამდე (610 მ); აქედან საზღვრის ხაზი იხრება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ „E“ წერტილამდე (440 მ), რის შემდეგაც მიდის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ „F“ წერტილამდე (440 მ); „F“-დან საზღვარი კვლავ უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, გადაკვეთს მდ. ლეხურას, მიდის „G“ წერტილამდე (660 მ) და შემდეგ ტეხილი ხაზის „G—H—K—L—M“ წერტილებით გასდევს სარწყავი არხის ტრასას (390 + + 350 + 330 + 590 მ); „M“ წერტილიდან საზღვარი მიემართება აღმოსავლეთისაკენ „N“ წერტილამდე (560 მ); „N“-დან სამხრეთისაკენ „O“ წერტილამდე (630 მ), რითაც შემოფარგლავს სასაფლაოს ტერიტორიას. „O“ წერტილიდან საზღვრის ხაზი კვლავ მისდევს სარწყავი არხის ტრასას „O—P—Q —R“ წერტილებით (665 + 265 + 565 მ). „R“ წერტილიდან საზღვარი მიდის არსებული გზის პარალელურად სამხრეთ-დასავლეთისაკენ, გადაკვეთს რკინიგზას და გრძელდება „S“ წერტილამდე (800 მ); რის შემდეგაც ტეხილის „S—T—U—V“ წერტილებით მიყვება რკინიგზის გასხვისების ზოლს (550 + + 410 + 410), „V“ წერტილიდან საზღვარი უხვევს სამხრეთ-დასავლეთისაკენ „X“ წერტილამდე (400 მ), „X“-დან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მდ. ლეხურას გავლით „y“ წერტილამდე (1075 მ); შემდეგ უფრო მეტად ტყდება ჩრდილო-დასავლეთისაკენ და ცემენტის ქარხნის ტერიტორიის შემოვლით, მიემართება რკინიგზის მაგისტრალის პარალელურად საწყის „A“ წერტილამდე (2040 მ).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

77 საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 26 დეკემბრის № 2495 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 26 ივლისის № 604 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 26 დეკემბრის № 2495 დადგენილება „რაიონებისა და ქალაქების ჯანმრთელობის განყოფილების გამგეების დანიშვნისა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანისა და დათხოვნის წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი 1974 წ. 6 სექტემბერი, № 498

78 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 2 ივლისის № 538 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 21 აგვისტოს № 584 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 2 ივლისის № 538 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიცვალოს მე-5 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 29 აგვისტოს № 535 დადგენილებისა „რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმის გაუმჯობესების შესახებ“ და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„5. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის დარგში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხარჯების დაფინანსება მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სოფლის მეურნეობის სამმართველოთა ხარჯთაღრიცხვებით, იმ წესით, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 21 აგვისტოს № 584 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შესახებ".

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 15 დეკემბრის № 956 დადგენილება „გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ორგანოების შესახებ";

— მე-3 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 15 აგვისტოს № 587 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში გამოგონებათა ხაზით სახელმწიფო ინტერესების დაცვის გაუმჯობესებისა და გამომგონებლობის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ".

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 2 ივლისის № 538 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

— მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი, მე-3, მე-12 და მე-17 პუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 14 ივნისის № 607 დადგენილებისა „სსრ კავშირში გამოგონებათა ხაზით სახელმწიფო ინტერესების დაცვის გაუმჯობესებისა და გამომგონებლობის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ", რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 15 აგვისტოს № 587 დადგენილებით;

— მე-12 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 სექტემბრის № 729 დადგენილებისა „მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების მეთესლეობის გაუმჯობესების ზომების შესახებ", რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 21 ნოემბრის № 591 დადგენილებით;

— მე-8 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 29 ივნისის № 490 დადგენილებისა „მეცხოველეობაში სანაშენო საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესვლის შემდგომი განვითარების შესახებ", რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 9 სექტემბრის № 501 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 6 სექტემბერი, № 499

ეროვნული ბიბლიოთეკა

79 საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 6 დეკემბრის № 813 დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 10 სექტემბერი, № 504

მუხ. 79
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 10 სექტემბრის № 504
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად არის რესპუბლიკური სამინისტრო და თავის საქმიანობაში ემორჩილება უშუალოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო და უშუალოდ მისდამი დაქვემდებარებული საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, ავტონომიური რესპუბლიკების საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროები, საოლქო საბჭოს აღმასკომის, საქალაქო საბჭოების აღმასკომების, რაიონული საბჭოების აღმასკომების კომუნალური მეურნეობის სამმართველოები, კომუნალური მეურნეობის განყოფილებები, კომუნალურ საწარმოთა კომბინატები, საბინაო მეურნეობის სამმართველოები და საბინაო-კომუნალური მეურნეობის მართვის სხვა ორგანოები, აგრეთვე ამ სამინისტროებისა და სამმართველოებისადმი დაქვემდებარებული საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები შეადგენენ სამინისტროს ერთიან სისტემას.

3. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო ხელმძღვანელობს თავის საქვეუწყებო საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალურ მეურნეობას ავტონომიური რესპუბლიკების საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროების, საოლქო საბჭოს აღმასკომისა და საქალაქო საბჭოების აღმასკომების (მათ შორის თბილისისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოების აღმასკომების) კომუნალური მეურნეობის სამმართველოების (განყოფილებების), კომუნალურ საწარმოთა კომბინატების, საბინაო მეურნეობის სამმართველოების და საბინაო-კომუნალური მეურნეობის მართვის სხვა ორგანოების მეშვეობით; მართავს რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების საბინაო-კომუნალური მეურნეობის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

4. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას სამინისტროს საქვეუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში; განაზოგადებს სამინისტროს კომპეტენციისათვის განკუთვნილ საკითხებზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის და წარუდგენს ამ წინადადებებს დადგენილი წესით საქართველოს მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

5. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

— უზრუნველყოს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საბინაო-კომუნალური მეურნეობის კომპლექსური განვითარებისა და სრულყოფის შესახებ იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილებანი საბინაო-კომუნალურ მომსახურებაზე;

— განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საბინაო ფონდისა და კომუნალური დანიშნულების ობიექტების საიმედო დაცვა-შენახვას, მათს ტექნიკურად სწორ და რენტაბელურ ექსპლუატაციას, საცხოვრებელი ბინების კეთილმოწყობის დონის შემდგომ ამაღლებას, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესებას;

— განავითაროს მეცნიერება და ტექნიკა საბინაო-კომუნალური მეურნეობის დარგებში, დანერგოს მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები და მოწინავე სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობს საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის ეფექტიანობის გადიდებას, მოსახლეობის კომუნალური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასა და კულტურის ამაღლებას;

— მოაწყოს ადგილობრივ საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად სოციალისტური შეჯიბრება საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და შრომითი რესურსების გამოყენების, შრომის ნაყოფიერების, საბინაო-კომუნალური მომსახურების მოცულობის, თვითღირებულებისა და ხარისხის მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიღწევისათვის, აგრეთვე უზრუნველყოს საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა კოლექტივებისა და მოსახლეობის ფართო მონაწილეობა ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისა და სანიტარიული მოვლა-შენახვის სამუშაოთა საუკეთესოდ განხორციელებისათვის;

— დანერგოს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაცია, უზრუნველყოს სამინისტროს სისტემის საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები კვალიფიციური კადრებით, შექმნას მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების საუკეთესო გამოყენებისათვის, კომუნალური მომსახურების სფეროში კადრების შენარჩუნებისათვის საჭირო პირობები;

— გააუმჯობესოს სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშათა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, უზრუნველყოს მათი შრომის უსაფრთხო პირობები, დანერგოს საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან აცილების ეფექტიანი საშუალებანი და ხერხები;

— მტკიცედ დაიცვას სახელმწიფო დისციპლინა და სოციალისტური კანონიერება საწარმოო დავალებათა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებისას სამინისტროს სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, გააძლიეროს მუშაკთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის.

6. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო მისთვის დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად:

ა) შეიმუშავებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ წარდგენილი მასალების საფუძველზე საბინაო და კომუნალური მეურნეობის განვითარების მიმდინარე და პერსპექტიულ გეგმათა პროექტებს და წარადგენს მათ დასამტკიცებლად დადგენილი წესით, აგრეთვე მონაწილეობს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარების გეგმათა პროექტების განხილვაში;

ბ) შეიმუშავებს კომუნალურ მშენებლობაში ნორმატიულ-კვლევითი და ექსპერიმენტული სამუშაოების გეგმათა პროექტებს და განახორციელებს კონტროლს სამინისტროს საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ ამ გეგმების შესრულებისადმი; შეიტანს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროში სამინისტროს წლიური საფინანსო გეგმების (შემოსავალ-გასავლის ბალანსების) პროექტებს და მათ გაანგარიშებას, დაუწესებს საბინაო-კომუნალური მეურნეობის ადგილობრივ ორგანოებს კომუნალური მეურნეობის ობიექტების ექსპლუატაციისა და სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმებს იმ მაჩვენებლების მიხედვით, რომელთა დამტკიცება სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება, აგრეთვე შრომის გეგმებს;

გ) სამინისტროსათვის მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში შეიმუშავებს და დაამტკიცებს უშუალოდ სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას; დაამტკიცებს ან წარადგენს დადგენილი წესით დასამტკიცებლად სამინისტროს სისტემის კომუნალური დანიშნულების მშენებლობათა და სხვა ობიექტების სატიტულო სიებს; დანიშნავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში მშენებლობადამთავრებულ საწარმოთა და შენობა-ნაგებობათა საექსპლუატაციოდ მიღებ სახელმწიფო კომისიებს, დაამტკიცებს მათი მიღების აქტებს; განიხილავს და წარუდგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დასკვნებს კომუნალური მეურნეობის ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის სატიტულო სიების პროექტების გამო; გასცემს დასკვნებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დასამტკიცებელი ქალაქებისა და კურორტების გენერალურ გეგმათა პროექტების და კომუნალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ტექნიკური პროექტების გამო; დადგენილი წესით განიხილავს და გასცემს დასკვნებს საცხოვრებელი სახლებისა და კომუნალური მეურნეობის ობიექტების ტიპობრივი პროექტების გამო;

დ) უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა რაც შეიძლება ეფექტიანად გამოყენებას, მშენებარე ობიექტების დროულად ამოქმედებას და მათ საწარმოო სიმძლავრეთა საპროექტო მაჩვენებლებამდე აყვანას, ტიპობრივი პროექ-

ტებისა და პროგრესული მასალების მაქსიმალურად გამოყენებას, ინდუსტრიული მეთოდებისა და მექანიზაციის დანერგვას კომუნალურ მშენებლობაში, განახორციელებს ღონისძიებებს საცხოვრებელი სახლებისა და კომუნალური დანიშნულების ობიექტების რემონტის სრულყოფისათვის, უზრუნველყოფს საბინაო-კომუნალურ და სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციათა საწარმოო-ტექნიკური ბაზის განვითარებას; შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში მეყვავილეობის განვითარებისათვის; მოაწყობს დეკორაციულ მცენარეთა სარგავი მასალისა და ყვავილის პროდუქციის სამრეწველო წარმოებას და კოორდინაციას გაუწევს მათ წარმოებას სამინისტროს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს, დაამტკიცებს ან წარადგენს დასამტკიცებლად დადგენილი წესით:

ქალაქების, მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დაბებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების მოსახლეობის კომუნალური მომსახურებით უზრუნველყოფის ნორმებს;

სამინისტროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა პროდუქციისა და მომსახურების ფასებსა და ტარიფებს;

საბინაო ფონდის, კომუნალური მეურნეობის საწარმოთა და ნაგებობათა (მიუხედავად მათი უწყებრივი კუთვნილებისა) მოვლა-შენახვის, რემონტისა და ექსპლუატაციის უზრუნველყოფის წესებს, ტექნიკურ პირობებს, ნორმატივებსა და ინსტრუქციებს;

ვ) უზრუნველყოფს საქვეუწყებო საბინაო-კომუნალური მეურნეობის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობის რენტაბელობის ამაღლებისა და ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესების, დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების მოწინავე მეთოდების დანერგვის ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებას;

ზ) კონტროლს გაუწევს:

საბინაო ფონდისა და კომუნალური დანიშნულების ობიექტების ჯეროვანი მოვლა-შენახვის, მათი ტექნიკურად სწორი და რენტაბელური ექსპლუატაციის უზრუნველყოფას მოქმედი წესების, ტექნიკური პირობების, ნორმატივებისა და ინსტრუქციების შესაბამისად (მიუხედავად ამ ობიექტების უწყებრივი კუთვნილებისა), აგრეთვე კოოპერაციული საცხოვრებელი სახლებისა და მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების მოვლა-შენახვას;

ქალაქების, მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დაბებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების მოსახლეობის საბინაო-კომუნალური მომსახურების მოქმედი ნორმების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა პროდუქციისა და მომსახურების ფასებისა და ტარიფების დაცვას;

ქალაქებში, მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დაბებსა და სოფლებში (რაიონულ ცენტრებში) გზა-ხიდების მეურნეობის კაპიტალური მშენებლობის, რემონტისა და ექსპლუატაციის, გამწვანებისა და მწვანე ნარგავთა შენარჩუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნების, წყალსატევების გაწყლიერების, მათი გაჭუჭყიანებისა და ნაპირების ... ნგრევისაგან დაცვის, მეწყრის წინააღმდეგ ბრძოლის, ხრამების წარმოქმნის თავიდან აცილების, აგრეთვე ამ დასახლებული პუნქტების სანიტარიული დასუფთავების ღონისძიებათა განხორციელებას;

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებისათვის საბინაო-კომუნალური მეურნეობის დარგში გამოყოფილი სახსრებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დროულად და რაციონალურად გამოყენებას;

საცხოვრებელი ფართობის განაწილებასა და იმ მოქალაქეთა აღრიცხვას, რომელთაც ესაჭიროებათ ბინები, საცხოვრებელი ფართობის გაცვლასა და დაჯავშნას, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების შექმნას ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, აგრეთვე რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით;

შრომის დაწესებული პირობებისა და ანაზღაურების დაცვის სისწორეს, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელებას, აგრეთვე ხელფასის ფონდის ხარჯვას სამინისტროს სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში;

თ) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად:

მოამზადებს წინადადებებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების კომუნალური მეურნეობის ობიექტების მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობისათვის სამინისტროთა და უწყებათა სახსრების გამოყენების შესახებ;

განახორციელებს კონტროლს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე კომუნალური მეურნეობის ობიექტების მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის სახელმწიფო გეგმების შესრულებისადმი;

ი) საქართველოს სსრ სახმშენთან ერთად კონტროლს გაუწევს:

ქალაქების, მუშათა, საკურორტო და საგარაკო დაბების გენერალურ გეგმათა შესრულებას საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარების ნაწილში;

საცხოვრებელ ნაგებობათა აღებას სახელმწიფო და საზოგადოებრივი მიზნებისათვის მიწის ნაკვეთების მიცემასთან დაკავშირებით;

ქალაქებში, მუშათა, საკურორტო და საგარაკო დაბებსა და სოფლებში (რაიონულ ცენტრებში) თვითნებური მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებას;

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საექსპლუატაციოდ გადაცემული სახელმწიფო და კოოპერაციული საცხოვრებელი სახლებისა და კომუნალური მეურნეობის ობიექტების ხარისხს;

კ) განახორციელებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე დასახლებულ პუნქტებში ხელმძღვანელობას სამოქალაქო დანიშნულების შენობა-ნაგებობების (საცხოვრებელი, კომუნალური, ადმინისტრაციული, სავაჭრო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვ.) და გარეგანი კეთილმოწყობის ობიექტების ტექნიკური აღრიცხვისადმი; განაზოგადებს და გააანალიზებს ტექნიკური

... საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღრიცხვის მონაცემებს; ქალაქებში, მუშათა, საკუროორტო და საგარეუბნებში განახორციელებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კონტროლს მიწების აღრიცხვისა და მიწათმოსარგებლეთა რეგისტრაციისადმი, მონაწილეობას მიიღებს მიწათსამეურნეო მოწყობის გეგმათა პროექტებისა და ქალაქის ფარგლების პროექტების შემუშავებაში, განიხილავს საწარმოებისათვის, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის, აგრეთვე მოქალაქეთა პირად სარგებლობაში მიცემული მიწის ნაკვეთების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

ლ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა, სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა გეგმებს; უზრუნველყოფს სრულყოფილი ტექნიკური პროცესების და შრომისა და მართვის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების შემუშავებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსახლეობის კომუნალური მომსახურების ტექნიკური დონის, ხარისხისა და კულტურის ამაღლებას; უხელმძღვანელებს მუშაობას რაციონალიზაციისა და გამომგონებლობისათვის; უზრუნველყოფს საქვეუწყებო სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციათა ლაბორატორიულ-საწარმოო ბაზის განვითარებასა და სრულყოფას; მოაწყობს სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას საბინაო-კომუნალური მეურნეობის დარგების მიხედვით, მეცნიერული, მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიური ლიტერატურის მომზადებასა და გამოცემას დადგენილი წესით;

მ) მონაწილეობას მიიღებს თბილისის მეტროპოლიტენის ტექნიკურ საშუალებათა განვითარებასთან და სრულყოფასთან, ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვასთან და მისი მუშაობის გამოცდილების განზოგადებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში;

ნ) მოამზადებს წინადადებებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა საწარმოებში საბინაო-კომუნალური მეურნეობისათვის საჭირო მოწყობილობის, აპარატურისა და მათი სათადარიგო ნაწილების წარმოების მოცულობის გამო და შეიტანს ამ წინადადებებს შესაბამისი ორგანოების განსახილველად; განსაზღვრავს სამინისტროს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მოთხოვნილებას მასალებზე, მოწყობილობასა და სხვა მატერიალურ რესურსებზე მისთვის დადგენილი ნომენკლატურის მიხედვით, გაანაწილებს მათ დადგენილი წესით; უზრუნველყოფს სამინისტროს საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის გასაღებას;

ო) განახორციელებს სამინისტროს სისტემის ორგგასაწყობ საწარმოთა და ორგანიზაციათა ძალებით სამუშაოებს კომუნალურ საწარმოთა უსაფრთხო ექსპლუატაციისადმი ტექნიკური ზედამხედველობისათვის, ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის მოწყობილობისა და ნაგებობათა გაწყობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემისათვის და მათი საწარმოო სიმძლავრეების საპროექტო მაჩვენებლებამდე აყვანისათვის;

პ) დააფინანსებს დადგენილი წესით უშუალოდ სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, უხელმძღვა-

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

ნელებს მათს ფინანსურ საქმიანობას, განახორციელებს ღონისძიებებს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისათვის, ძირითადი ფონდების, საბრუნავი სახსრების, საბიუჯეტო და საბანკო კრედიტების ეფექტიანი გამოყენებისათვის;

ჟ) შექმნის დადგენილი წესით ცენტრალიზებულ ფონდებს, აგრეთვე რეზერვს უშუალოდ სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად, გახსნის ბანკებში საანგარიშსწორებო ანგარიშებს მთავარ სამმართველოებსა, აგრეთვე უშუალოდ სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრების გადასანაწილებლად და სხვა ოპერაციებისათვის;

რ) შეიმუშავებს ღონისძიებებს საბინაო და კომუნალური მეურნეობის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის გასაუმჯობესებლად და აპარატის გასაიაფებლად; დაამტკიცებს დადგენილი წესით სამინისტროს სისტემის საწარმო-ორგანიზაციათა ტიპობრივ სტრუქტურასა და ტიპობრივ შტატებს, აგრეთვე უშუალოდ სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის სტრუქტურასა და შტატებს და ეომსახურე (საწარმოო) პერსონალის საშტატო ნორმატივებს;

ს) განიხილავს და დაამტკიცებს უშუალოდ სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ანგარიშებსა და ბალანსებს; განახორციელებს ხელმძღვანელობას საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგებისადმი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საბინაო-კომუნალური მეურნეობის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში; შეადგენს სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიხედვით კრებსით სტატისტიკურ და ფინანსურ ანგარიშებსა და ბალანსებს; მოაწყობს მუშაობას პირველადი აღრიცხვის შემდგომი გამარტივებისა და სრულყოფისათვის საანგარიშო ტექნიკის უახლეს საშუალებათა ფართოდ დანერგვით; ჩაატარებს რესპუბლიკური დაქვემდებარების საბინაო-კომუნალური მეურნეობის საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებს; უზრუნველყოფს სოციალისტური სახელმწიფო საკუთრების დაცვას სამინისტროს სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში და მზრუნველობით დამოკიდებულებას მისდამი;

ტ) შექმნის არბიტრაჟს სამინისტროს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შორის წამოჭრილი სამეურნეო დავის განსახილველად;

უ) განახორციელებს სამინისტროს ნომენკლატურის კადრების შესწავლას, შერჩევას, აღზრდას, მომზადებასა და განაწილებას; მოაწყობს კადრებთან მუშაობას უშუალოდ სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში; კონტროლს გაუწევს ამ მუშაობის მდგომარეობას მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საბინაო-კომუნალური მეურნეობის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში; განსაზღვრავს მიმდინარე და პერსპექტიულ მოთხოვნილებას სამინისტროს სისტემის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინაო-კომუნალური მეურნეობისათვის საჭირო უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებზე და გაანაწილებს დადგენილი წესით ახალგაზრდა სპეციალისტებს; მოაწყობს ხელმძღვანელი კადრების, მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების კვალიფიკაციის ამაღლებას; კოორდინაციას გაუწევს მუშაობას სამინისტროს სისტემაში მშრომელთა ეკონომიური განათლების გაუმჯობესებისათვის;

ფ) განახორციელებს სამინისტროს სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვის ღონისძიებებს; შეიმუშავებს და წარადგენს დადგენილი წესით დასამტკიცებლად წინადადებებს საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ; განახორციელებს შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და ნორმირების ღონისძიებებს;

ქ) უზრუნველყოფს ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან და ადგილობრივ საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა კოლექტივებისა და მოსახლეობის ფართო მონაწილეობას ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისა და სანიტარიული მოვლა-შენახვის სამუშაოთა საუკეთესოდ განხორციელებისათვის; მოაწყობს ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან და ადგილობრივ საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად სოციალისტურ შეჯიბრებას საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში. დაამტკიცებს დადგენილი წესით სოციალისტური შეჯიბრების პირობებს, განახორციელებს ღონისძიებებს შეჯიბრების მასობრიობისა და საჯაროობის უზრუნველსაყოფად, შეაჯამებს შედეგებს და მიაკუთვნებს გარდამავალ წითელ დროშებსა და ფულად პრემიებს; პოპულარიზაციას გაუწევს და გაავრცელებს იმ მეურნეობებისა და კოლექტივების მოწინავე გამოცდილებას, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს შეჯიბრებაში, და მოაწყობს პროფესიული ოსტატობის კონკურსებს;

ღ) დროულად და ყურადღებით განიხილავს მშრომელთა წერილებს (განცხადებებსა და საჩივრებს), უზრუნველყოფს მათში აღძრული საკითხების სწორად გადაწყვეტას, აგრეთვე მიიღებს ზომებს მშრომელთა წერილებში (განცხადებებსა და საჩივრებში) აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად სამინისტროს საქვეუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობაში.

7. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიათა შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რაც შემდგომ შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრს მეორე მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მინისტრის მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრი.

8. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრი პერსონალურად პასუხისმგებელია სამინისტროსათვის დაკისრებულ ამოცანათა და მოვალეობათა შესრულებისათვის; აწესებს მინისტრის მოადგილეთა, მთავარი სამმართველოების, სამმართველოების უფროსთა და სამინისტროს სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას სამინისტროს საქმიანობის ცალკეული დარგებისადმი ხელმძღვანელობისათვის და სამინისტროს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობისათვის.

9. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრი:

ა) საქართველოს სსრ კონსტიტუციის 52-ე მუხლის შესაბამისად ხელმძღვანელობს სამინისტროსა და მის საქვეუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობას;

ბ) წარადგენს დადგენილი წესით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად საკანონმდებლო აქტების, მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა პროექტებს საბინაო-კომუნალური მეურნეობის საკითხებზე;

გ) საქართველოს სსრ კონსტიტუციის 53-ე მუხლის შესაბამისად გამოსცემს სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და შესასრულებლად და ამოწმებს მათ შესრულებას.

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ბრძანებები და ინსტრუქციები კომუნალური მეურნეობის ობიექტებისა და საცხოვრებელი სახლების მოვლა-შენახვის, გამოყენებისა და ექსპლუატაციის საკითხებზე, რომლებიც სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება, სავალდებულოა ყველა საწარმოსათვის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი კუთვნილებისა, აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის.

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრი საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად გამოსცემს ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

დ) შეაჩერებს ავტონომიური რესპუბლიკების საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრების ბრძანებათა და ინსტრუქციათა მოქმედებას და გააუქმებს საოლქო საბჭოს აღმასკომისა და საქალაქო საბჭოების აღმასკომების (მათ შორის თბილისისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოების აღმასკომების) კომუნალური მეურნეობის სამმართველოთა, საბინაო მეურნეობის სამმართველოთა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის მართვის სხვა ორგანოთა უფროსების მიერ გამოცემულ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, აგრეთვე სამინისტროსადმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, სხვა ნორმატიულ აქტებს, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

წინადადებანი ავტონომიური რესპუბლიკების საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრების ბრძანებათა და ინსტრუქციათა გაუქმების შესახებ მინისტრს შეაქვს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განსახილველად;

ე) შეიტანს ცალკეულ ცვლილებებს სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურაში და დაამტკიცებს მის საშტატო განრიგს სამინისტროს ცენტრალური აპარატისათვის დაწესებული მუშაკთა რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში; მიანიჭებს სამეურნეო ანგარიშის უფლებებს სამინისტროს მთავარ სამმართველოებს, სამმართველოებსა და განყოფილებებს;

ვ) დაამტკიცებს სამინისტროს მთავარ სამმართველოთა, სამმართველოთა და განყოფილებათა დებულებებს, აგრეთვე დადგენილი წესით — სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წესდებებს (დებულებებს);

ზ) შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს დადგენილი წესით სამინისტროს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს;

თ) დანიშნავს თანამდებობაზე და გაათავისუფლებს თანამდებობიდან სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს და სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაკებს დადგენილი ნომენკლატურის შესაბამისად;

ი) დააჯილდოებს ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად სამინისტროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საუკეთესო მუშაკებს საპატიო სიგელებითა და სამკერდე ნიშნებით;

კ) მოიწვევს დადგენილი წესით საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაკთა აქტივის თათბირებს, რომლებზეც განიხილავენ სამინისტროსა და მის საქვეუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობის საკითხებს;

ლ) შექმნის სამინისტროში ტექნიკურ, სამეცნიერო-მეთოდიკურ, საექსპერტო და სხვა საბჭოებს, ამტკიცებს მათ დებულებებს და შემადგენლობებს;

მ) დაავალებს სამინისტროს კომპეტენციისათვის განკუთვნილი ცალკეული საკითხების გადაწყვეტას სამინისტროს მთავარ სამმართველოებს, სამმართველოებსა და განყოფილებებს.

10. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროში იქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მინისტრი (კოლეგიის თავმჯდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარე) და მინისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სამინისტროს კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

კოლეგია თავის რეგულარულად მოწვეულ სხდომებზე განიხილავს საბინაო-კომუნალური მეურნეობის, მისი საწარმოო-ტექნიკური ბაზის განვითარების ძირითად საკითხებს და სამინისტროს საქმიანობის სხვა საკითხებს; განიხილავს საწარმოებისადმი, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანეს ბრძანებათა და ინსტრუქციათა პროექტებს; მოისმენს სამინისტროს მთავარი სამმართველოების, სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსთა, აგრეთვე საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა მოხსენებებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, მინისტრის ბრძანებებით. მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

11. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

12. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი სახელწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

80 სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების გამოყოფისას მიწათმოსარგებლეთათვის ზარალისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ანაზღაურების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 9 აგვისტოს № 636 დადგენილება „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების გამოყოფისას მიწათმოსარგებლეთათვის ზარალისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ანაზღაურების შესახებ“ დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს და დაევალოთ მათ გააცნონ იგი საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მიწათმოსარგებლეებს.

2. დაევალოთ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს მიიღონ ზომები მიწების გამოყენებისა და სასოფლო- სამეურნეო სავარგულების დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, გამოყონ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწები ანდა ცუდი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, აგრეთვე გააძლიერონ კონტროლი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მიწათმოსარგებლეთა მიერ მიწების გამოყენებისადმი.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს:

ა) შეიმუშაონ არასასოფლოსამეურნეო საჭიროებისათვის გამოყოფილი მიწების ნაცვლად ახალი მიწების ათვისების ღირებულების ნორმატივები და 1974 წლის 15 ნოემბრამდე წარმოუდგინონ ისინი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შესათანხმებლად;

ბ) მოამზადონ და იმავე ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ასანაზღაურებლად საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე გადასარიცხი სახსრების გამოყენების წესი.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1974 წლის 1 ნოემბრამდე წარმოადგინონ ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, რაიონებსა და ქალაქებში მიწათმოწყობის სამსახურის განმტკიცების ღონისძიებათა გეგმა.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს (მოწვევა), საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქსოფლტექნიკას“ შეუსაბამონ ამ დადგენილებას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებული პროექტი დებულებისა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის წესის შესახებ, შეუთანხმონ იგი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სახმშენსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს არა უგვიანეს 1974 წლის 15 ნოემბრისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 19 სექტემბერი, № 516

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დადგენილება № 636

1974 წლის 9 აგვისტო

მოსკოვი, კრემლი

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების გამოყოფისას მიწათმოსარგებლეთათვის ზარალის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ანაზღაურების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიიღონ ზომები მიწების გამოყენებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, გამოყონ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების ან სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგარი მიწები, ანდა ცუდი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, აგრეთვე გააძლიერონ კონტროლი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მიწათმოსარგებლეთა მიერ მიწების გამოყენებისადმი.

2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების მე-18 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის ან მათი დროებით დაკავების შედეგად მიწათმოსარგებლეთათვის მიყენებული ზარალი უნდა აანაზღაურონ იმ საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა, რომლებსაც გამოეყოფათ მიწის ნაკვეთები.

უნდა ანაზღაურდეს: საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების, საწარმოო და სხვა შენობა-ნაგებობათა ღი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებულება ან ახალ ადგილზე მათი გადატანის ხარჯები; ხილ-კენკროვანი, დამცავი და მეურნეობის მიერ გაშენებული სხვა მრავალწლოვანი ნარგავების ღირებულება; დაუმთავრებელი წარმოების (ხვნის, სასუქების შეტანის, თესვისა და სხვა სამუშაოებისა) ღირებულება; სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის ღირებულება, აგრეთვე მიწათმოსარგებლეთა სხვა ზარალი, რაც დაკავშირებულია მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან ან მათ დროებით დაკავებასთან.

3. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ზარალი, რაც გამოწვეულია მიწის ნაკვეთების გამოყოფის ან მათი დროებით დაკავების შედეგად, განისაზღვრება შემდეგნაირად;

ა) გამოყოფილ ან დროებით დაკავებულ მიწის ნაკვეთზე განლაგებული საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების, საწარმოო და სხვა შენობა-ნაგებობების, აგრეთვე გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ფარგლებს გარეთ არსებული შენობა-ნაგებობებისა და სხვა ობიექტების შეფასება, თუ მათი შემდგომი გამოყენება დანიშნულებისამებრ შეუძლებელი აღმოჩნდება, ხდება ობიექტის საბალანსო ღირებულების მიხედვით, ცვეთის გათვალისწინებით.

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებსაც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ეძლევათ ნაკვეთები კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიწებიდან, დაინტერესებულ მხარეთა შორის შეთანხმებით მიზანშეწონილობის შემთხვევაში ნაცვლად იმისა, რომ აანაზღაურონ აღნიშნულ ნაკვეთებზე განლაგებული შენობების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების ღირებულება, თავიანთი ძალებითა და სახსრებით (აგრეთვე მიზიდულ ორგანიზაციათა ძალებით) გადაიტანენ მათ ახალ ადგილზე ანდა ააშენებენ შესაბამის ახალ შენობებს, ნაგებობებსა და სხვა ობიექტებს.

ამასთან ასაშენებელი ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულებასა და დასანგრევი ობიექტების საბალანსო ღირებულებას (ცვეთის გათვალისწინებით) შორის არსებულ სხვაობას ანაზღაურებს მიწათმოსარგებლე, რომლისთვისაც შენდება ობიექტი;

ბ) მსხმოიარე ხილ-კენკროვანი, დამცავი და მეურნეობის მიერ გაშენებული სხვა მრავალწლოვანი ნარგავების შეფასება ხდება მათი საბალანსო ღირებულების მიხედვით, ხოლო არამსხმოიარე ხილ-კენკროვანი ნარგავებისა — ნიადაგის მოსამზადებლად, ნარგავების დასარგავად, მოსავლელად და სხვა სამუშაოებისათვის გაწეული დანახარჯების ოდენობის მიხედვით;

გ) დაუმთავრებელი წარმოების (ხვნა, სასუქების შეტანა, თესვა და სხვა სამუშაოები) ღირებულება განისაზღვრება შესრულებული სამუშაოებისათვის ფაქტიურად გაწეული დანახარჯების მიხედვით;

დ) სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის ღირებულება (თუ მიწის ნაკვეთზე განხორციელებულია შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოვლა-მოყვანის აგროტექნიკურ ღონისძიებათა ძირითადი კომპლექსი) განისაზღვრება უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ამ კულტურის საშუალო მოსავლიანობის და მოცემულ ზონაში მოქმედი შესასყიდი ფასების მიხედვით;

ე) წყლის წყაროებით (ჭებით, გუბურებით, წყალსატევებით, ჭაბურღილებით და ა. შ.) სარგებლობის შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზარალი განისაზღვრება მათი მშენებლობისათვის ფაქტიურად გაწეული დანახარჯების ან თანაბარი დებიტის ახალი წყლის წყაროების მშენებლობისათვის შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების მიხედვით.

მიწის ნაკვეთების გამოყოფის ან დროებით დაკავების დროს, რის შედეგადაც ნაწილობრივ ან მთლიანად დაიღვა სარწყავი, საშრობი, ეროზიასაწინააღმდეგო და ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების (სისტემების) მუშაობა, ზარალი განისაზღვრება ახალი ნაგებობების (სისტემების) მშენებლობისათვის ან არსებულის რეკონსტრუქციისათვის შესრულებულ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიხედვით, მოქმედი ნორმებისა და ფასდების შესაბამისად, საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ღირებულების ჩათვლით.

მიწათმოსარგებლეთა სხვა ზარალი, რაც დაკავშირებულია მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან ან დროებით დაკავებასთან, განისაზღვრება ფაქტიურად გაწეული დანახარჯების მიხედვით.

4. მოქალაქეთა ზარალი, რაც დაკავშირებულია ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებში, სხვა დასახლებულ პუნქტებში და ხუტორებში მათი სარგებლობისათვის გადაცემული მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან ან დროებით დაკავებასთან, ნაზღაურდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 15 დეკემბრის № 1131 და 1966 წლის 16 აგვისტოს № 651 დადგენილებებით განსაზღვრული წესით.

კოლექტიური ბაღებისა და ბოსტნებისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების, სასამსახურო მიწის ნაკვეთების, აგრეთვე მოქალაქეთათვის მიცემული საყანე მიწის ნაკვეთების გამოყოფის ან დროებით დაკავებისას ნაზღაურდება:

გამოუყენებელი დანახარჯების (ხვნის, სასუქების შეტანის, თესვისა და სხვა სამუშაოების) ღირებულება, რაც განისაზღვრება მოცემულ ადგილზე განლაგებულ სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ანალოგიური სამუშაოებისათვის მოქმედი ფასდებისა და თესლის, მინერალური სასუქებისა და სხვა მასალების საცალო ფასების მიხედვით;

ხილ-კენკროვანი ნარგავების ღირებულება, რაც განისაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილი წესით დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით;

მოქალაქეთა კუთვნილი ნაგებობებისა და მოწყობილობების ღირებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 აგვისტოს № 651 დადგენილების მე-6 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ოდენობით.

5. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვა-შენარჩუნების, აგრეთვე სასოფლო- სამეურნეო წარმოების სათანადო დონის უზრუნველყოფის მიზნით და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების მე-19 მუხლის შესაბამისად დაწესდეს, რომ საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებსაც მშენებლობისა და სხვა არასასოფლოსამეურნეო საჭიროებისათვის გამოეყოფათ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით დაკავებული მიწის ნაკვეთები, ანაზღაურებენ (მიწათმოსარგებლეთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის ზარალის ანაზღაურების გარდა) ამ ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებულ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგებს ახალი მიწების თანაბარი ფართობის ათვისების ღირებულების ოდენობით იმის გათვალისწინებით, რომ ახლად ასათვისებელ მიწებზე განხორციელდეს მათი გაკულტურებისა და ნიადაგების ნაყოფიერების გადიდების ღონისძიებანი.

არასასოფლოსამეურნეო საჭიროებისათვის გამოყოფილი მიწების ნაცვლად ახალი მიწების ათვისების ღირებულება განისაზღვრება იმ ნორმატივების მიხედვით, რომლებსაც აწესებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა, რომლებსაც გამოეყოფათ მიწის ნაკვეთები არასასოფლოსამეურნეო საჭიროებისათვის, უნდა გაითვალისწინონ შესაბამის ხარჯთაღრიცხვებში სახსრები (დანაკარგების ასანაზღაურებელი თანხების ოდენობით) მიწების ათვისებასთან და ნიადაგების ნაყოფიერების გადიდებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ასანაზღაურებლად გათვალისწინებული სახსრები გადაირიცხება მოკავშირე რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო ორგანოთა სპეციალურ ანგარიშებზე, რომლებიც გახსნილია სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში, და გამოიყენება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილი წესით ახალი მიწების ასათვისებლად და ახლად ასათვისებელი მიწების ნაყოფიერების გადიდების ან არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გაუმჯობესების ღონისძიებათა განსახორციელებლად. სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანახარჯების ასანაზღაურებლად გათვალისწინებული გამოუყენებელი ფულადი სახსრები წლის ბოლოს არ ჩამოერთმევა და მომდევნო წელს მოხმარდება მიწების ათვისებისა და ნიადაგების ნაყოფიერების გადიდების ღონისძიებათა დაფინანსებას.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს სახალხო-სამეურნეო გეგმათა პროექტებში მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, აგრეთვე მიწის ნაკვეთების გამოყოფით დაინტერესებული სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების წინადადებათა მიხედვით ახალი მიწების ათვისებასთან და ახლად ასათვისებელი მიწების ნაყოფიერების გადიდების ღონისძიებათა განხორციელებასთან ან არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საპროექტო-საძიებო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ასანაზღაურებლად გათვალისწინებული სახსრების ხარჯზე, „სოფლის მეურნეობის“ დარგით დაწესებული კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის გადამეტებით.

6. მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან ან მათი დროებით დაკავებასთან დაკავშირებით მიწათმოსარგებლეთათვის ზარალისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების განსაზღვრის მიზნით მშრომელთა დეპუტატების რაიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ქმნიან შემფასებელ კომისიებს შემდეგი შემადგენლობით: მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს წევრი — თავმჯდომარე, მიწების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო რაიონული ინსპექტორი, რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საფინანსო და კომუნალური განყოფილებების, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) საბჭოს წარმომადგენლები, მიწათმოსარგებლე, რომლის მიწებიდანაც ხდება ნაკვეთის გამოყოფა ან დროებით დაკავება, მიწის ნაკვეთის გამოყოფით დაინტერესებული საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების წარმომადგენელი, აგრეთვე სხვა ორგანოთა წარმომადგენლები მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შეხედულებისამებრ.

კომისიის მუშაობის შედეგების მიხედვით დგება აქტი, რომელშიც აღინიშნება მიწათმოსარგებლეთათვის ასანაზღაურებელი ზარალისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ოდენობა; აქტს განიხილავს და ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე შეიძლება 10 დღის ვადაში გასაჩივრდეს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო, საქალაქო (რაიონული დაყოფის მქონე ქალაქებში) აღმასრულებელ კომიტეტში, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში, ხოლო იმ მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებსაც არა აქვთ საოლქო დაყოფა, — მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში. აღნიშნულ ორგანოთა გადაწყვეტილებანი საბოლოოა.

7. მიწათმოსარგებლეთათვის ზარალისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ასანაზღაურებლად ამ დადგენილების შესაბამისად საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ გადახდილი სახსრების ოდენობა შედის ობიექტების მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაში ან განეკუთვნება იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საწარმოო საქმიანობას, რომლებსაც ეძლევათ მიწის ნაკვეთები.

8. სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგები არ ნაზღაურდება, როცა:

— მიწის ნაკვეთები გამოყოფილია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მოსარწყავად და დასაშრობად გათვალისწინებულ სამელიორაციო სისტემათა მშენებლობისათვის;

— მიწების ნაკვეთები (სახნავის და მრავალწლოვანი ნარგავებით, კულტურული სათიბებითა და საძოვრებით დაკავებული ნაკვეთების გარდა) გამოყოფილია სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს სისტემის გუბურებისა და ტბების თევზის მეურნეობათა, თევზსაშენთა, ქვირითსაყრელ-გამოსაზრდელ მეურნეობათა და თევზის ქარხნების მშენებლობისათვის;

— დასახლებული პუნქტების ფარგლებში განლაგებული მიწის ნაკვეთები გამოყოფილია სკოლებისა და სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, სავაჭრო ობიექტების, სამკურნალო დაწესებულებებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიწის ნაკვეთები მიცემულია დროებითი სარგებლობისათვის, თუ გამოყოფის პირობების მიხედვით ეს ნაკვეთები შემდგომ მოყვანილი უნდა იქნეს სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში.

ყველაზე მსხვილი ჰიდროენერგეტიკული ობიექტების მშენებლობისათვის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით დაკავებული მიწის ნაკვეთების გამოყოფისას სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების განსაზღვრის წესს ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ამ ობიექტების მშენებლობის საკითხის გადაწყვეტის დროს.

9. დაწესდეს, რომ ობიექტების მშენებლობისა და განლაგების იმ პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის განმხორციელებელი ორგანოები, რომლებშიც გათვალისწინებულია მიწის ნაკვეთების გამოყოფა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სარგებლობაში არსებული მიწებიდან, ამ პროექტებს განიხილავენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის მიწათმოწყობის სამსახურის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომლებიც სახელმწიფო კონტროლს უწევენ მიწების გამოყენებას.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიიღონ საჭირო ზომები მიწათმოწყობის სამსახურის განსამტკიცებლად რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებსა და რაიონებში.

10. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა და სსრ კავშირის მშენბანკმა საპროექტო სამუშაოები (გარდა ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთების შედგენასთან დაკავშირებული სამუშაოებისა) დააფინანსონ მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს შესაბამისი დოკუმენტები იმის შესახებ, რომ მიწათმოსარგებლეებს და მიწების გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლის განმხორციელებელ ორგანოებს (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში კი — სხვა ორგანოებსაც, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო კონტროლს ბუნებრივი რესურსების გამოყენებისადმი) წინასწარ შეუთანხმეს ობიექტის განლაგების ადგილი და გამოსაყოფად გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის დაახლოებითი ფართობი.

ობიექტების მშენებლობა დაფინანსდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეჯკვეთი წარადგენს მიწათმოწყობის ორგანოს დოკუმენტს სარგებლობისათვის მიცემული მიწის ნაკვეთის საზღვრების ნატურით (ადგილმდებარეობაზე) დაწესების შესახებ და შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემულ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს მიწის სარგებლობის უფლებას.

კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის მიცემული მიწები შინასამეურნეო მშენებლობისათვის გამოიყენება დადგენილი წესით. ამასთან მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის განლაგების ადგილი და ფართობი წინასწარ უთანხმდება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის მიწათმოწყობის სამსახურის ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო კონტროლს მიწების გამოყენებისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. დაევალოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს შეიმუშაონ და დაამტკიცონ 3 თვის ვადაში ინსტრუქცია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების გამოყოფასთან დაკავშირებით მიწათმოსარგებლეთათვის ზარალისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ანაზღაურების წესის შესახებ.

12. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ამ დადგენილებას შეუსაბამონ დებულებანი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის წესის შესახებ.

13. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი ჩვენი ქვეყნის მიწის რესურსების დაცვის გასაძლიერებლად და მათი გამოყენების გასაუმჯობესებლად, აგრეთვე მიწის კანონმდებლობის განუხრელი დაცვის უზრუნველსაყოფად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

81 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისათვის მცხეთის რაიონის სოფელ ძალისში არქეოლოგიური გათხრების წარმოების ნებართვის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს მცხეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის 1974 წლის 13 ივნისის № 219 გადაწყვეტილება და (ნაცვლად გამოყოფისა) ნება დაერთოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს მცხეთის რაიონის ძალისის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის 5 ჰექტარ მიწაზე (3 ჰექტარი საზოგადოებრივი სახნავი ფართობი და 2 ჰექტარი საკარმიდამო მიწა) აწარმოოს არქეოლოგიური გათხრები.

დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს აუნაზღაუროს:

— მუშა-მოსამსახურეებსა და სხვა პირებს — გათხრების შედეგად მიყენებული ზარალი რაიაღმასკომის მიერ დამტკიცებული შეფასების აქტის თანახმად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს — 5 ჰექტარ ახალი მიწის სახნავად მომზადების ხარჯები.

ნება დაერთოს ძალისის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის დირექციას გამოუყოს სამაგიერო მიწები საკარმიდამო მიწის თავისუფალი ფონდიდან იმ კომლებს, რომელთა საკარმიდამო მიწებზე იწარმოებს არქეოლოგიური გათხრები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 19 სექტემბერი, № 517

82 საცხოვრებელი სახლებისა და აგარაკების თვითნებური მშენებლობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ, მიუხედავად საქართველოს სსრ მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა სახლების თვითნებური მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 2 აგვისტოს № 1462 დადგენილება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 22 ოქტომბრის № 1448, 1955 წლის 26 აგვისტოს № 478, 1956 წლის 27 ივლისის № 395, 1963 წლის 18 იანვრის № 39, 1968 წლის 16 იანვრის № 23 და სხვა დადგენილებანი), მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების ზოგიერთ აღმასკომს არ აღუკვეთავს მოქალაქეთა მიერ სახლების თვითნებური მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების მიტაცების ფაქტები და დროულად არ მიუღია კანონით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლით, სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე, 221-ე მუხლებით) დაწესებული ზომები აღნიშნული მშენებლობის სალიკვიდაციოდ. ამის შედეგად ამჟამად რესპუბლიკაში აღრიცხულია 50 ათასზე მეტი თვითნებურად აშენებული სახლი, ძირითადად მიტაცებულ მიწის ნაკვეთებზე.

„საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 12 აპრილის ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ჩაატარონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 12 აპრილის ბრძანებულების გამოცემამდე თვითნებურად აშენებული ყველა სახლის (აგარაკის) ინვენტარიზაცია და აიყვანონ ეს ნაგებობანი განსაკუთრებულ აღრიცხვაზე;

ბ) ჩამოართვან მიტაცებული მიწის ნაკვეთები;

გ) განიხილონ საკითხი თითოეული თვითნებურად აშენებული სახლის შესახებ და მიიღონ გადაწყვეტილება: რომელი სახლების მფლობელთა მიმართ არის მიზანშეწონილი საქმის აღძვრა მათი უსასყიდლოდ ჩამორთმევის თაობაზე კანონის შესაბამისად, და რომელი სახლები უნდა დაინგრეს, მაგრამ პრაქტიკულად მათი დანგრევა ამჟამად შეუძლებელია, ვინაიდან იქ ცხოვრობენ მოქალაქენი, რომელთაც სხვა საცხოვრებელი არა აქვთ;

დ) აღძრან კანონის შესაბამისად სასამართლოებში საქმეები იმ სახლების უსასყიდლოდ ჩამორთმევისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ფონდში გადაცემის შესახებ, რომელთა ჩამორთმევაც მიზანშეწონილად იქნება მიჩნეული;

ე) მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ფონდში არგადასაცემი თვითნებურად აშენებული სახლების მფლობელებს მისცენ დროებითი საბინაო დავთრები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 მარტის № 110 დადგენილების შესაბამისად, აღნიშნულ სახლებში მცხოვრები მოსახლეობის აღრიცხვის მიზნით, თუ რაიმე მიზეზით ეს დავთრები ჯერ კიდევ არ არის გაცემული. ამავე დროს კვლავ აცნობონ თვითნებურად აშენებული სახლების მფლობელებს, რომ მათთვის დროებითი საბინაო დავთრების მიცემა არ ნიშნავს აღნიშნულ სახლებზე მათი პირადი საკუთრების უფლების ცნობას, რომ კანონის შესაბამისად მათ უფლება არა აქვთ განკარგონ ხსენებული სახლები, ე. ი. მათ არ შეუძლიათ გაყიდონ ან გაასხვისონ ისინი რაიმე ფორმით, გააქირაონ, აწარმოონ მიშენება, დაშენება, რეკონსტრუქცია და ა. შ., მაგრამ შეუძლიათ იცხოვრონ თვითნებურად აშენებულ სახლებში მანამ, სანამ საჭირო არ გახდება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის იმ მიწის ნაკვეთების ჩამორთმევა, რომლებზეც ეს სახლები დგას, რომ მათ არ აუნაზღაურდებათ ნაგებობათა ღირებულება და სხვა დანახარჯები;

ვ) თვითნებურად აშენებული აგარაკები, მათი მდგომარეობის შესაბამისად, დაანგრიონ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს გადაწყვეტილებით, ანდა უსასყიდლოდ ჩამოართვან სასამართლო წესით და გადასცენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს ფონდში, იქ მცხოვრებ მოქალაქეთა გამოსახლებით;

ზ) ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განხორციელების დადგენილი წესის დაცვისადმი ქმედითი კონტროლის დაწესების მიზნით:

— უზრუნველყონ საქვეუწყებო ტერიტორიების სისტემატური შემოვლა მილიციისა და მშრომელთა აქტივის, პენსიონერთა ძალებით, სახლებისა და აგარაკების თვითნებური მშენებლობის დაუყოვნებლივ აღკვეთისა და კანონით დაწესებული ზომების მიღების მიზნით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სისტემატურად, თვეში ერთხელ მაინც, განიხილონ საკითხი სახლებისა და აგარაკების თვითნებური მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისა და „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 12 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად მათ სალიკვიდაციოდ მიღებული ზომების შესახებ;

თ) აცნობონ საქართველოს სსრ სახმშენს სახლებისა და აგარაკების თვითნებური მშენებლობის ფაქტები, თუ ადგილი აქვს ასეთ ფაქტებს, და მისი ლიკვიდაციისათვის მიღებული ზომები.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს განაზოგადოს ამ დადგენილების 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადგილებიდან მიღებული ცნობები და ყოველკვარტალურად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი ინფორმაცია.

3. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ და მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა მიიღონ აქტიური მონაწილეობა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და აგარაკების თვითნებური მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

4. საქართველოს სსრ პროკურატურამ და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა დაავალონ თავიანთ ადგილობრივ ორგანოებს გააძლიერონ ზედამხედველობა და კონტროლი მოქალაქეთა მიერ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის კანონით დადგენილი წესის პრაქტიკაში განუხრელი განხორციელებისადმი, ამასთან საჭირო დახმარება აღმოუჩინონ სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს თვითნებური მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 26 ივლისის № 395 დადგენილების მე-10 პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 22 სექტემბერი, № 521

ეროვნული ბიბლიოთეკა

83 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 16 მარტის № 159 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 16 მარტის № 159 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 8 იანვრის № 7 დადგენილების დამატების შესახებ“.

2. კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა განხორციელდეს „კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შემდგომი განვითარების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 19 ნოემბრის № 943 დადგენილებისა და მის საფუძველზე მიღებული „საქართველოს სს რესპუბლიკაში კოოპერაციული საბინაო მშენებლობის მიმდინარეობისა და მისი შემდგომი განვითარების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 8 იანვრის № 7 დადგენილების ზუსტი შესაბამისობით.

3. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ კანონიერების უმკაცრესი დაცვა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საქმიანობაში და არ დაუშვან არავითარი გადახვევა ამ კოოპერატივების შექმნისა და კოოპერაციული სახლების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის დადგენილი წესისაგან.

4. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს წარმოადგინოს წინადადებანი ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 28 სექტემბერი, № 529

84 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 3 დეკემბრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო გარდაიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარ სამმართველოდ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 7 ოქტომბრის № 542 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს შესახებ ცვლილებანი — სათაურში და დებულების ყველა პუნქტში სახელწოდება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო“ შეიცვალოს სახელწოდებით „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველო“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 3 ოქტომბერი, № 539.

85 საქართველოს სს რესპუბლიკაში ელექტროგასანათებელი ქსელებისა და დანადგარების ექსპლუატაციის შემდგომი გაუმჯობესებისა და მშენებლობის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში არსებული გარეგანი არქიტექტურული განათების ელექტროქსელებისა და დანადგარების ექსპლუატაცია და ახლის ამოქმედება ჩამორჩება თანამედროვე მოთხოვნებს, ეს კი გარკვეულწილად გავლენას ახდენს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგების მუშაობაზე, აგრეთვე აუარესებს ქალაქებისა და რაიონული ცენტრების გარეგან და არქიტექტურულ-დეკორაციულ განათებას.

ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა სპეციალისტ-შუქტექნიკოსთა კადრების მომზადებასა და შუქტექნიკურ განათლებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. რესპუბლიკაში არსებული გარეგანი და არქიტექტურული განათების ელექტროქსელებისა და დანადგარების ექსპლუატაციისა და ახლის ამოქმედებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, აგრეთვე შუქტექნიკის განვითარების კოორდინაციის მიზნით და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს თანხმობის გათვალისწინებით დაევალოს საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარ საწარმოო სამმართველოს შექმნას სამეურნეოანგარიშიანი საწარმო „საქგანათება“.

საჭიროდ ჩაითვალოს, რომ „საქგანათება“:

ა) ხელმძღვანელობას უწევდეს გარეგანი და არქიტექტურულ-დეკორაციული განათების ელექტროქსელების განვითარებასა და ექსპლუატაციას, აგრეთვე ასრულებდეს თავისი სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციისა და ადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობრივი ქვედანაყოფების მეშვეობით აღნიშნული ქსელებისა და დანადგარების მშენებლობის, მონტაჟის, რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის სამუშაოებს საქართველოს სს რესპუბლიკაში ადგილობრივ საბჭოებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე შემკვეთთა სახსრებითა და მასალებით;

ბ) კონტროლს უწევდეს გარეგანი და არქიტექტურული განათების დანადგარების დანერგვასა და სრულყოფას მათი ესთეტიკური დონის, ეფექტიანობისა და ექსპლუატაციის კულტურის ამაღლების გათვალისწინებით;

გ) კონტროლს უწევდეს გარეგანი და არქიტექტურულ-დეკორაციული განათების დანადგარების დაპროექტებას საქართველოს სს რესპუბლიკაში და აწარმოებდეს პროექტების შეთანხმებას, ზედამხედველობას მათი განხორციელებისადმი.

2. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს და საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს:

ა) საქართველოს სსრ სახმშენთან, საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარ საწარმოო სამმართველოსთან, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაონ ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და ყველაზე გადატვირთული სატრანსპორტო მაგისტრალების გარეგანი განათების რეკონსტრუქციისა და განვითარების პერსპექტიული გეგმა, აგრეთვე შეარჩიონ ყველაზე დამახასიათებელი ისტორიული ძეგლები და ნაგებობანი მათი არქიტექტურულ-დეკორაციული განათებისათვის, ამასთან გაითვალისწინონ ეს ღონისძიებანი მიმდინარე და პერსპექტიულ სამუშაოთა გეგმებში;

ბ) დაუდონ საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარ საწარმოო სამმართველოს ხელშეკრულებანი გარეგანი განათების ელექტროდანადგარების მშენებლობის, ექსპლუატაციისა და დაპროექტების აღნიშნულ სამუშაოთა შესასრულებლად, ამასთან უზრუნველყონ ისინი დაფინანსებითა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებით;

გ) გაუწიონ „საქგანათების“ ადგილობრივ ორგანოებს დახმარება სადგომების, ტრანსპორტის გამოყოფაში და ა. შ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარ საწარმოო სამმართველოს:

ა) მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებთან ერთად შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი გარეგანი განათების ფიდერების თანდათანობით გამოყოფისათვის, აგრეთვე გარეგანი განათების ცენტრალიზებული ტელემექანიკური და ავტომატური მართვის და გარეგანი განათებისათვის მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვის ორგანიზაციის განსახორციელებლად;

ბ) შექმნას „საქენერგოპროექტის“ ინსტიტუტთან გარეგანი და არქიტექტურულ-დეკორაციული განათების ახალი დანადგარების დაპროექტებისა და არსებული დანადგარების რეკონსტრუქციის სპეციალიზებული ჯგუფი;

გ) ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს დადგენილი წესით დებულება „საქგანათების“ შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს პუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1990 წლების ძირითად მიმართულებათა შემუშავებისას განიხილოს გასანათებელ ხელსაწყოთა და შუქტექნიკურ ნაკეთობათა გამომშვები საწარმოს ორგანიზაციის საკითხი.

5. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შესაბამის ფაკულტეტებზე გაიზარდოს შუქტექნიკის, გარეგანი და დეკორაციული განათების, აგრეთვე სახალხო მეურნეობაში გასანათებელი ტექნიკის საშუალებათა გამოყენების კურსის სასწავლო საათების რაოდენობა.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს ყოველწლიურად გაითვალისწინოს გასანათებელი ქსელებისა და მოწყობილობის მონტაჟისა და ექსპლუატაციის დარგის ელექტრომონტიორ-მემონტაჟეთა მომზადება საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოსათვის მის განაცხადების მიხედვით.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს ტექნიკური ესთეტიკის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალთან და საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად:

ა) შეამოწმონ საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში შუქტექნიკის საშუალებათა გამოყენებისა და განათების მდგომარეობის საკითხი და განახორციელონ ღონისძიებანი სასწავლო და საწარმოო სადგომების, სამშენებლო მოედნებისა და საშენი მასალების მოპოვების ადგილების განათების გასაუმჯობესებლად და დაწესებულ ნორმატივებამდე მათი განათებულობის გასადიდებლად, ამასთან უზრუნველყონ მეორე და მესამე ცვლების ნორმალური მუშაობა განათების თანამედროვე და მაღალინტენსიური წყაროების გამოყენების გზით;

ბ) გაადიდონ შუქტექნიკის საშუალებათა გამოყენება საწარმოო მიზნით, ამასთან უზრუნველყონ ოპტიკური გამოსხივების უფრო ფართოდ გამოყენება წარმოების ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის მეცხოველეობაში, მეფრინველეობაში, ბაღჩეული და სხვა კულტურების სასათბურო და სანერგე მეურნეობებში.

8. დაევალოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს გამოყოს შესაბამისი საქალაქო საბჭოებისა და „საქგანათების“ განაცხადების მიხედვით საჭირო რაოდენობის წყვილები ტელეფონის ხაზებში ტექნიკური შესაძლებლობის ფარგლებში გარეგანი განათების ცენტრალიზებული ტელემექანიკური და ავტომატური მართვის სქემების განსახორციელებლად.

9. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს პრაქტიკაში შემოიღოს ქალაქების, რაიონული ცენტრების, მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციების ხელოვნურ განათებაში მოწინავე ტექნიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანერგვის საკითხებზე ტექნიკური ინფორმაციის ბროშურების გამოცემა, აგრეთვე პერიოდულად მოიწვიოს თათბირები გასანათებელი დანადგარების ექსპლუატაციის თაობაზე გამოცდილების გასაზიარებლად.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს გააძლიეროს კონტროლი გარეგანი და დეკორაციული განათების ელექტროდანადგარების დაპროექტებისადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 4 ოქტომბერი, № 543

86 ქალაქ თბილისის ახალი საზღვრის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახმშენისა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება და მოწონებულ იქნეს ქალაქ თბილისის ახალი საზღვრის წარმოდგენილი პროექტი, დანართის თანახმად, ამასთან განისაზღვროს ქალაქ თბილისის ტერიტორიის საერთო ფართობი საქალაქო საზღვრის ფარგლებში 34.860 ჰექტარის ოდენობით.

აღნიშნული პროექტი დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

2. დაწესდეს, რომ ქალაქ თბილისის ფარგლებში მოქცეული საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მიწები, აგრეთვე ტყის სავარგულები რჩება საბჭოთა მეურნეობებისა და სატყეო მეურნეობის ორგანიზაციების სარგებლობაში და ეს მიწები ქალაქს მის განვითარებასთან დაკავშირებით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა გადაეცეს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მოყოლებული 1977 წლიდან, მრავალწლოვანი კულტურები ქალაქ თბილისის ფარგლებში გაშენდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსთან შეთანხმებული და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ დამტკიცებული ქალაქის მიწათსამეურნეო მოწყობის პროექტის სრული შესაბამისობით.

3. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს გაითვალისწინოს 1975-1976 წლების საპროექტო სამუშაოთა გეგმაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაბამისი ლიმიტები ქალაქ თბილისის მიწათსამეურნეო მოწყობის პროექტის შესამუშავებლად სპეციალიზებული საპროექტო ორგანიზაციის ძალებით და უზრუნველყოს ამ პროექტის შედგენა 1976 წლის ბოლომდე.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 8 თებერვლის № 70 დადგენილება „ქალაქ თბილისის ახალი საზღვრების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 10 ოქტომბერი, № 556

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 10 ოქტომბრის № 556
დადგენილების დანართი

ქალაქ თბილისის საზღვრის აღწერილობა

ქალაქ თბილისის საზღვარი იწყება ჩრდილოეთით — 746 მაღლობზე (№ 1 წერტილი), საგურამოს ნაკრძალის საზღვართან, შემდეგ მიჰყვება ამ საზღვარს 806 მაღლობამდე (№ 2 წერტილი), საიდანაც უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით და 629,6 მაღლობის (№ 3 წერტილი), 621,3 მაღლობის (№ 4 წერტილი), 634,2 მაღლობის (№ 5 წერტილი), 519,6 მაღლობის (№ 6 წერტილი) გავლით მიემართება მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზთან მდინარე გლდანის გადაკვეთისაკენ (№ 7 წერტილი), შემდეგ მიუყვება ზემოთ მდინარე გლდანის დინების მიმართულებით ამ მდინარეზე გადებულ ხიდამდე (№ 8 წერტილი), საიდანაც გადის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ 733,2 მაღლობთან (№ 9 წერტილი).

ამ წერტილიდან ნასერალის ქედით საზღვარი მიდის უსახელო ხევამდე (№ 10 წერტილი), უხვევს ხევის გასწვრივ სამხრეთ-დასავლეთით, ჰკვეთს მდინარე ხევძმარას 562,6 ნიშნულზე (№ 11 წერტილი) და 659,1 მაღლობის (№ 12 წერტილი) გავლით ეშვება ხევამდე (№ 13 წერტილი), მიუყვება ხევს 792 მაღლობამდე (№ 14 წერტილი), გასდევს მომდევნო ხევს 702 მაღლობამდე (№ 15 წერტილი), კვლავ ხევის გასწვრივ ადის 800 ჰორიზონტალამდე (№ 16 წერტილი) და მიჰყვება ამ ჰორიზონტალს მორიგ ხევამდე (№ 17 წერტილი), შემდეგ ხევის გაყოლებით მიდის 875 ჰორიზონტალამდე (№ 18 წერტილი), აღწევს ამ ჰორიზონტალით ღარტაფამდე მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გადაკვეთის ადგილში (№ 19 წერტილი), იქიდან მიემართება 1088,5 მაღლობისაკენ (№ 20 წერტილი) და 1062 მაღლობის (№ 21 წერტილი), წყალსაცავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

(№ 22 წერტილი), 1045,1 მაღლობის (№ 23 წერტილი) გავლით მიდის ხევთან, ეშვება ხევით შარაგზასთან თეთრიხევის გადაკვეთამდე (№ 24 წერტილი) და, გადაჰკვეთს რა ჯოჯნახევის დასაწყისს 806,0 ნიშნულზე (№ 25 წერტილი), ეშვება ამ ხევით ზემო სამგორის სარწყავ არხამდე (№ 26 წერტილი), ხოლო შემდეგ არხის გაყოლებით აღწევს ლოჭინოს ხევს (№ 27 წერტილი).

ლოჭინოს ხევით საზღვარი მიემართება ჯერ სამხრეთით, შემდეგ სამხრეთ-დასავლეთით თბილისი-ბაქოს რკინიგზამდე (№ 28 წერტილი), აქედან მიემართება სამხრეთით — ტყეპარკის საზღვრამდე (№ 29 წერტილი) და მისი გაყოლებით — საქართველოს სასწავლო-კვლევითი ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტის კრწანისის სასწავლო-საჩვენებელი მეურნეობის ტერიტორიის საზღვრამდე (№ 30 წერტილი). გაჰყვება რა მას ჩრდილო-დასავლეთით 450,0 ჰორიზონტალამდე (№ 31 წერტილი), ქალაქის საზღვარი მიემართება ამ ჰორიზონტალით ჩრდილოეთისაკენ და გორაკის ძირში უხვევს ჩრდილო-დასავლეთით ცივი ხევისაკენ (№ 32 წერტილი).

მარნეულის გზატკეცილისაკენ ამ ხევის გაყოლებით ქალაქის საზღვარი ჰკვეთს გზატკეცილს 450,0 ნიშნულზე (№ 33 წერტილი), შემდეგ მიდის ჩრდილოეთით 578,2 მაღლობისაკენ (№ 34 წერტილი), საიდანაც უხვევს დასავლეთით 645,2 მაღლობისაკენ (№ 35 წერტილი), მიუყვება ზეგნის სამხრეთ კიდეს, ქალაქის ფარგლებში შავნაბადას მონასტრის ჩათვლით, მიდის თელეთის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის საზღვრამდე (№ 36 წერტილი) და შემდეგ ტაბახმელის ბიოკომბინატის საზღვრით ორთახევთან 664,0 ნიშნულზე გადაკვეთამდე (№ 37 წერტილი).

ამ ხევის გაყოლებით 881,7 მაღლობის (№ 38 წერტილი) გავლით საზღვარი მიდის გიბუთხევამდე (№ 39 წერტილი), შემდეგ 650,0 ჰორიზონტალით მიემართება წყნეთიდან მომავალი ხევის გადაკვეთამდე (№ 40 წერტილი), ადის ამ ხევის ზედა კიდემდე (№ 41 წერტილი) და ღარტაფით გამოდის 783,2 მაღლობისაკენ (№ 42 წერტილი).

შემდეგ ქალაქის საზღვარი მიემართება დასავლეთით წყნეთის გზატკეცილის გადაკვეთამდე 851,0 ნიშნულზე (№ 43 წერტილი), უხვევს ჩრდილო-დასავლეთით და აღწევს მდინარე ვერეს გადაკვეთამდე (№ 44 წერტილი), შემდეგ ამ მდინარის გაყოლებით გაივლის წმინდაწყალს (№ 45 წერტილი) და 627,3 მაღლობს (№ 46 წერტილი), უხვევს ჩრდილოეთით და მიემართება 784,0 მაღლობისაკენ (№ 47 წერტილი), შემდეგ მიდის სოფელ თხინვალთან მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზისა და გზის გადაკვეთამდე (№ 48 წერტილი), საიდანაც 760,8 მაღლობის (№ 49 წერტილი), 836,0 მაღლობის (№ 50 წერტილი) და 701,0 მაღლობის (№ 51 წერტილი) გავლით მიდის მდინარე დიღმისწყლის გადაკვეთამდე (№ 52 წერტილი).

ამ წერტილიდან საზღვარი ეშვება მდინარე დიღმისწყლის დინების მიმართულებით საქართველოს სამხედრო გზამდე (№ 53 წერტილი), მიუყვება მას სოფელ დიღმისაკენ მიმავალ გზამდე (№ 54 წერტილი), აღწევს ამ გზის გაყოლებით 452,7 ნიშნულამდე (№ 55 წერტილი), შემდეგ მიემართება ჩრდილოეთით 487,2 ნიშნულისაკენ (№ 56 წერტილი), გაივლის 465,8 მაღლობს (№ 57

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერტილი) და, მიაღწევს რა 602,0 მაღლობს (№ 58 წერტილი), უხვევს დასავლეთით მილისხევის გადაკვეთამდე (№ 59 წერტილი).

შემდეგ 706,0 მაღლობის (№ 60 წერტილი), 702,0 მაღლობის (№ 61 წერტილი), 686,0 მაღლობის (№ 62 წერტილი) საზღვარი მიდის ხევთან და მისი გაყოლებით უხვევს ხევის განშტოებასთან 905,0 მაღლობისაკენ (№ 63 წერტილი). 910,0 მაღლობის (№ 64 წერტილი) გავლით მიემართება 775,0 მაღლობისაკენ (№ 65 წერტილი), შემდეგ ხევის, მთის ძირის გავლით, რკინიგზის ლიანდაგების გაყოლებით, მდინარე მტკვარზე გამავალი რკინიგზის ხიდით ქალაქის საზღვარი აღწევს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზამდე, ჰკვეთს მას (№ 66 წერტილი) და 652,0 მაღლობის (№ 67 წერტილი). 748,0 მაღლობის (№ 68 წერტილი) გავლით ურთდება № 1 საწყის წერტილს (746 მაღლობი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

87 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 10 ოქტომბერი, № 558

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 10 ოქტომბრის № 558
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო (საქართველოს სსრ მთავარკაპმშენი) არის რესპუბლიკური ორგანო და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციები, საწარმოები და დაწესებულებები ერთიან სისტემას შეადგენენ.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს შენახვის ხარჯები გაიღება ტექნიკური ზედამხედველობისათვის განკუთვნილი ანარიცხებიდან დადგენილი ოდენობით.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს ძირითადი ამოცანებია:

— კაპიტალური მშენებლობის საქვეუწყებო სამმართველოთა მუშაობისადმი ხელმძღვანელობის განხორციელება და მათი მუშაობის კოორდინაცია;

— საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების, ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შესრულება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე;

— მშენებლობათა უზრუნველყოფა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით, მოწყობილობითა და მასალებით;

— ერთიანი პოლიტიკის განხორციელება მშენებლობაში;

— კონტროლი მშენებლობის ხარისხისადმი და მისი ღირებულების შემცირების შესაძლებლობათა გამონახვა;

— კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლება.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას საქართველოს სსრ მთავარკაპმშენის საქვეუწყებო ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და საწარმოებში.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად ასრულებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სს რესპუბლიკაში საცხოვრებელი სახლების, ადმინისტრაციული, კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობებისა და ნაგებობების, აგრეთვე განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მშენებლობის ერთიანი შემკვეთის (ტიტულმფლობელის) ფუნქციებს, რისთვისაც:

ა) მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების მიერ კაპიტალურ დაბანდებათა წლიური გეგმების შემუშავებაში და სატიტულო სიების შედგენაში ამ დებულების მე-4 და მე-6 პუნქტებში აღნიშნული დარგების მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ სამინისტროებისა და უწყებებისათვის დაწესებული კაპიტალური დაბანდებების, ძირითადი ფონდებისა და სიმძლავრეების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმები ამავე დროს აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით უმტკიცდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს ამ სამინისტროებისა და უწყებების მიერ გადაცემული მოცულობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო და მისი საქვეუწყებო კაპიტალური მშენებლობის სამმართველოები წარადგენენ ყოველთვიურ, კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს სტატისტიკური ანგარიშგების დაწესებული ფორმების მიხედვით.

მომავალი წლების მშენებლობებისათვის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიების შედგენისას საქართველოს სსრ მთავარკაპმშენი ხელმძღვანელობს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებისაგან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებისაგან და დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებებისაგან მიღებულ ობიექტთა ნუსხებით, სადაც აღნიშნულია მათი სიმძლავრე და სავარაუდო ღირებულება;

ბ) აღძრავს დადგენილი წესით საკითხებს მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ, განახორციელებს საჭიროების კვალობაზე კონკრეტულ ღონისძიებებს არსებული ნაგებობებისაგან მათი განთავისუფლებისათვის;

გ) მიიღებს სახელმწიფო საარქიტექტურო-სამშენებლო კონტროლის ორგანოებისაგან ნებართვას ობიექტების მშენებლობისათვის;

დ) გასცემს დაპროექტების დავალებებს (მსხვილი და რთული ობიექტებისათვის კი — ტექნიკურ-ეკონომიურ დასაბუთებათა დამუშავების დავალებებს), შეათანხმებს ხელშეკრულებებს საპროექტო-საძიებო სამუშაოთა შესასრულებლად, განახორციელებს მათ დაფინანსებასა და მიღებას;

ე) განიხილავს მიღებულ ტექნიკურ დოკუმენტაციას, განახორციელებს დადგენილი წესით ექსპერტიზას და საჯარო ორგანიზაციასთან შეთანხმების შემდეგ დაამტკიცებს ტექნიკურ (ტექნიკურ-სამუშაო) პროექტებს მოქმედი დებულების შესაბამისად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) დადებს საიჯარო ხელშეკრულებებს კაპიტალური მშენებლობის ობიექტებზე, აგრეთვე საპროექტო ორგანიზაციების მიერ საავტორო ზედამხედველობის განხორციელების თაობაზე და დააფინანსებს აღნიშნულ სამუშაოებს;

ზ) განახორციელებს ტექნიკურ ზედამხედველობას მშენებლობისადმი, მიიღებს მოიჯარისაგან მშენებლობადამთავრებულ ობიექტებს და წარუდგენს მათ საექსპლუატაციოდ მისაღებად სახელმწიფო მიმღებ კომისიებს;

თ) განახორციელებს კონტროლს კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების შესრულებისა და სიმძლავრეთა და ძირითადი ფორმების ამოქმედებისადმი;

ი) დადებს საპროექტო ორგანიზაციებთან ხელშეკრულებებს ასამუშავებელი კომპლექსების დოკუმენტაციის შესადგენად, უფლება აქვს მოსთხოვოს საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს წარუდგინონ მასალები სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ და ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის დაჩქარებასა და მათი მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებას;

კ) გახსნის ბანკებში დადგენილი წესით ანგარიშებს კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად, მიმდინარე და საანგარიშსწორებო ანგარიშებს გამოყოფილი სახსრების შესანახად და განაგებს ამ სახსრებს;

ლ) გადაანაწილებს საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ სამინისტროებთან, უწყებებთან და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას წლიური გეგმებისა და სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების ამოქმედების მოცულობის შეუმცირებლად, სამინისტროებისა და უწყებებისათვის მათი დარგების განსავითარებლად გამოყოფილი სახსრების ფარგლებში;

მ) მიიწვევს სპეციალისტებს პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზაში მონაწილეობისათვის ან მშენებარე ობიექტების ტექნიკური მდგომარეობის გამო დასკვნების მისაღებად, აგრეთვე სხვა საჭირო შემთხვევებში;

ნ) უხელმძღვანელებს საქვეუწყებო ორგანიზაციათა ფინანსურ საქმიანობას, მოაწყობს და კონტროლს გაუწევს საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვა-ანგარიშგების დაყენებას, განიხილავს და დაამტკიცებს ანგარიშებსა და ბალანსებს, შეადგენს პერიოდულ წლიურ კრებსით საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს, აგრეთვე განახორციელებს ფინანსურ კონტროლს და მოაწყობს საქვეუწყებო ორგანიზაციათა რევიზიებს, განახორციელებს პირველადი დოკუმენტაციისა და პირველადი აღრიცხვის შემდგომი სრულყოფის, მანქანური აღრიცხვის დანერგვის ღონისძიებებს;

ო) მოახდენს შემკვეთის მიწოდების მოწყობილობისა და მასალების ფონდების რეალიზაციას, აგრეთვე წარუდგენს მათი მოთხოვნილების განაცხადგაანგარიშებას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ მთავარ მომარაგებას;

პ) დადებს სპეციალიზებულ ორგანიზაციებთან ხელშეკრულებებს გასაშვებ-გასაწყობ სამუშაოთა საწარმოებლად დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მიერ გაღებული საექსპლუატაციო ხარჯებით;

ჟ) განახორციელებს დადგენილი წესით ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შერჩევასა და განაწილებას, მოაწყობს სპეციალისტთა მომზადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, კონტროლს გაუწევს ამ საქმეს საწარმოებ ორგანიზაციებსა და საწარმოებში;

რ) განახორციელებს კონტროლს შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესრულებისადმი;

ს) წარადგენს დადგენილი წესით თავისი სისტემის მოწინავე მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს საპატიო წოდებათა მისანიჭებლად, მთავრობისა და საუწყებო ჯილდოების მისაკუთვნებლად, დააჯილდოებს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელებით და გამოიყენებს წახალისების სხვა ფორმებს;

ტ) განახორციელებს კონტროლს სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს ეკისრება საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციების თანაბრად პასუხისმგებლობა კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულებისათვის და საპროექტო ორგანიზაციების თანაბრად — იმისათვის, რომ ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები შეესაბამებოდნენ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს სათავეში უდგას სამმართველოს უფროსი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მოვალეობებს მოადგილეთა შორის ანაწილებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო დროულად და ყურადღებით განიხილავს მოქალაქეთა წერილებს (საჩივრებს, განცხადებებს), უზრუნველყოფს მათში აღძრული საკითხების სწორად გადაჭრას, აგრეთვე მიიღებს ზომებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობაში არსებული იმ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რომლებიც აღნიშნულია მიღებულ წერილებში.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი:

ა) გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედ კანონთა, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და გას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემს მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს სისტემის ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის, და შეამოწმებს მათს შესრულებას;

ბ) პერსონალურად აგებს პასუხს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოსათვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებისათვის, დააწესებს თავის მოადგილეთა პასუხისმგებლობას;

გ) უხელმძღვანელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს საქმიანობას, დანიშნავს და გაათავისუფლებს ცენტრალური აპარატის მუშაკებს და საქვეუწყებო ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, საწარმოთა მუშაკებს დადგენილი ნომენკლატურის შესაბამისად შრომის კანონმდებლობის წესების დაცვით;

დ) შეიტანს დადგენილი წესით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად საკანონმდებლო აქტებისა და დადგენილებების პროექტებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოსა და მისი ქვედანაყოფების მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ე) დაამტკიცებს დებულებებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს სამმართველოთა და განყოფილებათა შესახებ;

ვ) შეიტანს ცვლილებებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს ცენტრალური აპარატისა და მისი ქვედანაყოფების სტრუქტურასა და საშტატო განრიგში დადგენილი წესით;

ზ) დაუნიშნავს პერსონალურ განაკვეთებს ცენტრალური აპარატისა და მისი ქვედანაყოფების მუშაკებს;

თ) გააუქმებს საქვეუწყებო ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და მითითებებს, რომლებიც გამოცემულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობისა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების დარღვევით.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოში იქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მთავარი სამმართველოს უფროსი (კოლეგიის თავმჯდომარე), უფროსის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დადგენილი წესით.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს კოლეგია თავის სხდომებზე მოისმენს და განიხილავს:

— კაპიტალურ დაბანდებათა უკეთ გამოყენების, წარმოებისა და საკომპლექტებელი ბაზების განვითარების, საქვეუწყებო ორგანიზაციებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მშენებლობის მიმდინარეობასთან და მის ხარისხთან დაკავშირებულ კითხებს;

— უმნიშვნელოვანეს ბრძანებათა, ინსტრუქციათა და სხვა დოკუმენტთა პროექტებს;

— საქვეუწყებო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებებს, სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსთა ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსის ბრძანებებით.

14. მთავარი სამმართველოს უფროსსა და კოლეგიის წევრთა შორის უთანხმოების წამოჭრის შემთხვევაში სამმართველოს უფროსი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, რის შესახებაც მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აცნობონ აგრეთვე თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და რიცხოვნობას განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი სახელწოდება.

88 სასოფლო და სადაბო საბჭოების ტერიტორიაზე მოქმედი ავტოკლუბების, ავტობიბლიოთეკების, სახალხო თვითმოქმედი თეატრებისა და კოლექტივების შტატის მუშაკების უფასო კომუნალური მომსახურების შესახებ

აღინიშნოს, რომ ავტოკლუბები, ავტობიბლიოთეკები, სახალხო თვითმოქმედი თეატრები და კოლექტივები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების საქმეში. ამ დაწესებულებების შტატის მუშაკები არ სარგებლობენ კომუნალური მომსახურების შეღავათებით, რის გამო ხშირია კადრების დენადობა და ფერხდება მათი დაკომპლექტება კვალიფიციური მუშაკებით.

ავტოკლუბების, ავტობიბლიოთეკების, სახალხო თვითმოქმედი თეატრებისა და კოლექტივების შტატის მუშაკთა მუშაობის პირობების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გავრცელდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 17 თებერვლის № 80 დადგენილება უფასო კომუნალური მომსახურების შესახებ სასოფლო და სადაბო საბჭოების ტერიტორიაზე მოქმედი ავტოკლუბების, ავტობიბლიოთეკების, სახალხო თეატრებისა და კოლექტივების შტატის ყველა მუშაკზე.

2. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა 1975 წლის 1 იანვრიდან გაითვალისწინონ ადგილობრივ ბიუჯეტებში ამ დანიშნულებისათვის საჭირო თანხები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 18 ოქტომბერი, № 564

89 მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ორგანიზაციის შესახებ

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX-X კლასების მოსწავლეთა შრომისა და პროფესიის არჩევისათვის მომზადების გაუმჯობესების მიზნით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 23 აგვისტოს № 662 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, სათანადო პირობების არსებობისას, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანი-

ზაციების მონაწილეობით შექმნან შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატები საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX-X კლასების მოსწავლეთათვის.

სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ძირითად ამოცანებს შეადგენს: მოსწავლეთათვის საწარმოებში შრომითი პროცესებისა და მუშების შრომის შინაარსის გაცნობა, მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის განხორციელება მათ მიერ პროფესიის შეგნებულად არჩევის მიზნით, შერჩეულ პროფესიაში მოსწავლეთათვის შრომის თავდაპირველი ჩვევების გამომუშავება. სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატები წარმოადგენენ პროფესიული ორიენტაციის მუშაობის ცენტრებს რაიონის (ქალაქის) სკოლების მოსწავლეთა და მათ მშობლებს შორის.

სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებში მოსწავლეთა შრომითი სწავლების პროფილები განისაზღვრება მუშათა კადრებზე ადგილობრივი მოთხოვნებისა და არსებული საწარმოო ბაზის გათვალისწინებით.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მიმდინარე წლის 30 დეკემბრამდე დაადგინონ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების შექმნის შესაძლებლობა, გამოყონ კომბინატებისათვის შესაფერისი შენობები ან მიწის ფართობები მათ ასაგებად, კომბინატების აგებასა და კეთილმოწყობაში წილობრივი მონაწილეობა მიაღებინონ ახლომდებარე რამდენიმე მსხვილ საწარმოსა და ორგანიზაციას კოოპერირების წესით და ამის შესახებ აცნობონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

3. დაევალოთ ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებს უზრუნველყონ IX-X კლასების მოსწავლეთა ღრმა სამედიცინო შემოწმება ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით არჩეული პროფესიისათვის მათი ვარგისიანობის განსაზღვრის მიზნით.

4. მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 23 აგვისტოს № 662 დადგენილებით:

ა) სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატები იმყოფებიან სახალხო განათლების ორგანოების გამგებლობაში;

ბ) სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების მმართველობის აპარატისა და მომსახურე პერსონალის შენახვა და პედაგოგიური მუშაკების შრომის ანაზღაურება, აგრეთვე ავეჯის, სამეურნეო მოწყობილობის შეძენისა და ამ კომბინატების კაპიტალური რემონტის ხარჯების დაფარვა წარმოებს იმ თანხებით, რომლებსაც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები გამოყოფენ სახალხო განათლებისათვის;

გ) ნება დაერთო საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებში შექმნან და აღჭურვონ სასწავლო საამქროები, უბნები, კაბინეტები, ლაბორატორიები როგორც ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების სტრუქტურული ქვედანაყოფები, გამოყონ მოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლეთა სწავლებისა და შრომის ორგანიზაციისათვის კვალიფიციური მუშებ და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები;

დ) მოსწავლეთა შრომითს სწავლებაში გამოყენებული კვალიფიციური მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შენახვის, შესაქმნელი სასწავლო საამქროების, უბნების, კაბინეტების, ლაბორატორიების სამეურნეო მომსახურების ხარჯები დაიფარება შესაბამისი საწარმოებისა და ორგანიზაციების თანხებიდან, მათ შორის იმ ასიგნებებიდან, რომლებიც მათთვის გამოყოფილია კადრების მოსამზადებლად.

აღნიშნული მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების მიერ მოსწავლეთა პრაქტიკული სწავლებისათვის გაწეული შრომის ანაზღაურება, აგრეთვე სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატში მოსწავლეთა შრომის ანაზღაურება წარმოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 დეკემბრის № 1369 დადგენილების შესაბამისად;

ე) გავრცელდეს სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების მომუშავეებზე:

პედაგოგიურ მუშაკებზე:

ხელფასის განაკვეთები და შრომის ანაზღაურების სხვა პირობები, აგრეთვე ყოველწლიური შვებულების ხანგრძლივობა და პენსიის უზრუნველყოფის წესი, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებისათვის არის გათვალისწინებული:

საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სპეციალობის მიხედვით მათი მუშაობის პედაგოგიურ სტაჟში ჩათვლის წესი, რომელიც გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შრომის მასწავლებლებისათვის.

ხელმძღვანელ და სხვა მუშაკებზე (გარდა პედაგოგიურისა):

თანამდებობრივი ხელფასები, რომლებიც გათვალისწინებულია პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლო დაწესებულებების ანალოგიური კატეგორიის მუშაკებისათვის, სადაც გათვალისწინებულია მუშების მომზადება მანქანათსაშენებელი და ლითონდასამუშავებელი მრეწველობისათვის. მოსწავლეთა კონტინგენტის განსაზღვრისას ხელმძღვანელი მუშაკების თანამდებობრივი ხელფასების დადგენისათვის გამოიყენება კოეფიციენტი 0,25.

პედაგოგიური მუშაობის წესი (არა უმეტეს ორი საათისა დღეში), ყოველწლიური შვებულებების ხანგრძლივობა და პენსიით უზრუნველყოფის წესი, რომლებიც გათვალისწინებულია პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლო დაწესებულებების ანალოგიური კატეგორიის მუშაკთათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 28 ოქტომბერი, № 570.

90 „საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებაში პარალელიზმის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 30 ნოემბრის № 693 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

„საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებაში პარალელიზმის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 30 ნოემბრის № 693 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აღნიშნული დადგენილების 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ცეკავშირის გამგეობამ გადასცეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს ქვანახშირის კომბინატის მუშათა მომარაგების სამმართველოსა და ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებას საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების შემდეგი ობიექტები:

ყველა საწარმო ქ. სოხუმში, ბათუმსა და ცხინვალში, აგრეთვე კურორტ ბიჭვინთაში, მეთევზეთა კოოპერაციის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების გარდა;

ყველა საწარმო ქ. გაგრაში, გორსა და ზუგდიდში, ამასთან შეუნარჩუნდეს ცეკავშირს ყოველ ამ ქალაქში თითო უნივერმაღი (რაიმაღი) უფილიალოდ;

საწარმოები ქ. ტყიბულში, ჭიათურაში, ბორჯომში, ხაშურში, ახალციხეში, გუდაუთაში, ზესტაფონში, ქობულეთში, მახარაძეში, ოჩამჩირეში, სამტრედიაში, თელავში, წყალტუბოსა და ცხაკაიაში, გარდა უნივერმაღებისა (რაიმაღებისა), სამეურნეო საქონლის მაღაზიებისა და კულტსაქონლის მაღაზიებისა უფილიალებოდ.

გადაცემას არ ექვემდებარება კოოპერაციული ვაჭრობის ობიექტები, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ჰყიდიან“.

2. აღნიშნული დადგენილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გადაეცეს ცეკავშირის სისტემას სახელმწიფო ვაჭრობის მთელი სავაჭრო ქსელი სამომხმარებლო კოოპერაციის მოქმედების ზონაში განლაგებულ რაიონულ ცენტრებში და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე, გარდა მუშათა მომარაგების სამმართველოთა და განყოფილებათა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა, აგრეთვე საქართველოს საგზაო რესტორანებისა და ბუფეტების ტრესტის ობიექტებისა, რომლებიც განლაგებულია მათი მოქმედების ზონაში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მიღება-გადაცემა განხორციელდეს დადგენილი წესით 1974 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 26 ოქტომბერი, № 572

91 ხანგრძლივი მშრალი ამინდის გამო ხანძრის გაჩენისაგან ტყეების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ მშრალმა ამინდებმა რესპუბლიკის ტყეებში შექმნეს ხანძარსაშიში ვითარება. არ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 31 მაისის № 362 დადგენილება „ხანძრისაგან საქართველოს ტყეების დაცვის ღონისძიებათა შემდგომი გაძლიერების შესახებ". ამის შედეგად ამ უკანასკნელ დღეებში ტყის ხანძრები გაჩნდა ბაკურიანში, ორჯონიკიძეში, ხაშურში, კასპში, ჭიათურაში, ჯავასა და მთელ რიგ სხვა რაიონებში. მართალია, რაიონების პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების, სატყეო და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული ზომებისა და მოსახლეობის უაღრესად დიდი და აქტიური მონაწილეობის შედეგად, ტყის ხანძრები თავის დროზე, დიდი ზარალის მოუტანლად იქნა ლიკვიდირებული, მაგრამ ამასთანავე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნია, რომ ხანძარსაშიში მდგომარეობა რესპუბლიკის ტყეებში კვლავ შემაშფოთებელია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ხანძრისაგან ტყეების დაცვა მიჩნეულ იქნეს გადაუდებელ, პირველი რიგის ამოცანად და დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

ა) დაუყოვნებლივ უზრუნველყონ ხანძრისაგან ტყეების დაცვა, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ხანძარსაწინააღმდეგო ბრძოლის განუხრელად გატარებას;

ბ) საჭიროების შემთხვევაში შეზღუდონ ტყის მასივების გარკვეულ მონაკვეთებში მწყემსების, ტურისტების, მუშებისა და დამსვენებლების სიარული, ფართოდ გაშალონ ხანძარსაწინააღმდეგო სააგიტაციო მასობრივი მუშაობა მოსახლეობაში, ტყის მუშაკთა, დამსვენებელთა, ექსკურსანტთა და ტურისტთა შორის;

გ) ტყის დაცვის მუშაკთა, მილიციის მუშაკთა, სამოქალაქო თავდაცვის შტაბების მეშვეობით გააძლიერონ მეთვალყურეობა ტყეების ხანძარსაშიში

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბნებისადმი, დააწესონ მკაცრი კონტროლი ტყეებში სახანძრო უშიშროების წესების შესრულებისადმი, ტყის ხანძრის გაჩენის შემთხვევაში ჩააბან მოსახლეობა და ორგანიზაციები ხანძრის ლოკალიზაციისა და ჩაქრობის საქმეში. ამის უზრუნველსაყოფად გამოიყენონ კოლმეურნეობების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სატრანსპორტო საშუალებები და ტექნიკა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს, სატყეო მეურნეობებს, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებსა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს გვალვის მთელ პერიოდში ტყის ხანძარსაშიშ უბნებში შემოიღონ თანამშრომელთა სადღეღამისო შემოვლა, გააძლიერონ მოსახლეობის, სკოლების, ტყეში მომუშავე მუშების, მწყემსებისა და დამსვენებლების მიმართ მომთხოვნელობა ტყეებში ხანძარსაწინააღმდეგო ბრძოლის პროფილაქტიკური ღონისძიებების შესრულებისათვის და წესების დარღვევის შემთხვევებში მიიღონ მკაცრი ზომები.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკური და რაიონული გაზეთების რედაქციებს სისტემატურად მოაწყონ გადაცემები და გამოაქვეყნონ სტატიები ხანძრისაგან ტყეების დაცვისა და გამაფრთხილებელი ზომების საკითხებზე.

4. აღნიშნული დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ .28 ოქტომბერი, № 577

92 საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისას კონტეინერების არაჯეროვანი გამოყენებისათვის ტვირთგამგზავნთა, ტვირთმიმღებთა და ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციათა მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 21 აგვისტოს № 650 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისას კონტეინერების არაჯეროვანი გამოყენებისათვის ტვირთგამგზავნთა, ტვირთმიმღებთა და ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციათა შემდეგი მატერიალური პასუხისმგებლობა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) თუ ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციები არ მიაწოდებენ ტვირთგზავნილ-დვის გეგმის შესრულებისათვის საჭირო კონტეინერებს, ტვირთგამგზავნი არ გამოიყენებს მიწოდებულ კონტეინერებს ან უარს იტყვის გეგმით გათვალისწინებულ კონტეინერებზე, დამნაშავე მხარე იხდის ჯარიმას შემდეგი ოდენობით:

10 მანეთს — კონტეინერისათვის, რომლის ბრუტო მასა 10 ტონაა;

5 მანეთს — კონტეინერისათვის, რომლის ბრუტო მასა 5 ტონაა;

3 მანეთს — კონტეინერისათვის, რომლის ბრუტო მასა 3 ტონაა;

1 მანეთსა და 50 კაპიკს — კონტეინერისათვის, რომლის ბრუტო მასა 3 ტონაზე ნაკლებია;

ბ) თუ ტვირთგამგზავნი არ შეასრულებს ტვირთის გადაზიდვის გეგმას დანიშნულების პუნქტების მიხედვით, იგი იხდის ჯარიმას შემდეგი ოდენობით:

3 მანეთს — კონტეინერისათვის, რომლის ბრუტო მასა 10 ტონაა;

2 მანეთს — კონტეინერისათვის, რომლის ბრუტო მასა 5 ტონაა;

1 მანეთს — კონტეინერისათვის, რომლის ბრუტო მასა 3 ტონაა;

50 კაპიკს — კონტეინერისათვის, რომლის ბრუტო მასა 3 ტონაზე ნაკლებია;

გ) დაწესებული ვადების გადამეტებით კონტეინერების დაგვიანებისათვის ტვირთგამგზავნი და ტვირთმიმღები იხდიან ჯარიმას შემდეგი ოდენობით:

30 კაპიკს საათში — კონტეინერისათვის, რომლის ბრუტო მასა 10 ტონაა;

20 კაპიკს საათში — კონტეინერისათვის, რომლის ბრუტო მასა 5 ტონაა;

10 კაპიკს საათში — კონტეინერისათვის, რომლის ბრუტო მასა 3 ტონაა;

5 კაპიკს საათში — კონტეინერისათვის, რომლის ბრუტო მასა 3 ტონაზე ნაკლებია.

2. დაწესდეს, რომ დადგენილი ვადების გადამეტებით კონტეინერების დაგვიანებისათვის ჯარიმას ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციები ტვირთგამგზავნსა და ტვირთმიმღებს ახდევინებენ უდავო (უაქცეპტო) წესით.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 14 აგვისტოს № 495 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდების თანდართული ცვლილებანი.

4. ეს დადგენილება შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1975 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 29 ოქტომბერი, № 581.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 29 ოქტომბრის № 581
დადგენილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვლილებანი,

რომლებიც შეტანილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 14 აგვისტოს № 495 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდებაში

1. 110.-ე მუხლის მესამე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დაწესებული ვადების გადამეტებით კონტეინერების დაგვიანებისათვის ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები, რკინიგზები და სანაოსნოები იხდიან ჯარიმას 5 ტონაზე მეტი ბრუტო მასის კონტეინერის დაგვიანებისათვის ყოველ დღე-ღამეში 2 მანეთის ოდენობით, 5 ტონა და ნაკლები ბრუტო მასისა — 30 კაპიკის ოდენობით“.

2. 124-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ტექსტები:

ა) პირველი აბზაცის შემდეგ:

„ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები, ტვირთგამგზავნნი და ტვირთმიმღებნი ურთიერთ პასუხისმგებელნი არიან მატერიალურად აგრეთვე გეგმით გათვალისწინებული კონტეინერების მიუწოდებლობისათვის ან მათ გამოყენებაზე უარის თქმისათვის“;

ბ) მეხუთე აბზაცის შემდეგ:

„თუ ავტოსატრანსპორტო ორგანიზაცია არ მიაწოდებს გეგმით გათვალისწინებულ კონტეინერებს, ტვირთგამგზავნი არ გამოიყენებს მიწოდებულ კონტეინერებს ან უარს იტყვის გეგმით გათვალისწინებულ კონტეინერებზე, დამნაშავე მხარე იხდის ჯარიმას შემდეგი ოდენობით:

10 მანეთს — კონტეინერისათვის, რომლის ბრუტო მასა 10 ტონაა;
5 მანეთს — კონტეინერისათვის, რომლის ბრუტო მასა 5 ტონაა;
3 მანეთს — კონტეინერისათვის, რომლის ბრუტო მასა 3 ტონაა;
1 მანეთსა და 50 კაპიკს — კონტეინერისათვის, რომლის ბრუტო მასა 3 ტონაზე ნაკლებია.

დანიშნულების პუნქტების მიხედვით კონტეინერებით ტვირთის გადაზიდვის გეგმის შეუსრულებლობისათვის ტვირთგამგზავნი ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციას უხდის ჯარიმას შემდეგი ოდენობით:

3 მანეთს — კონტეინერისათვის, რომლის ბრუტო მასა 10 ტონაა;
2 მანეთს — კონტეინერისათვის, რომლის ბრუტო მასა 5 ტონაა;
1 მანეთს — კონტეინერისათვის, რომლის ბრუტო მასა 3 ტონაა;
50 კაპიკს — კონტეინერისათვის, რომლის ბრუტო მასა 3 ტონაზე ნაკლებია“.

შემდეგ როგორც ტექსტშია.

3. 139-ე მუხლის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დაწესებული ნორმების გადამეტებით კონტეინერის დაგვიანებისათვის

მუზეუმი ბიბლიოთეკა

ტვირთგამგზავნი და ტვირთმიმღები საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები იხდიან ჯარიმას შემდეგი ოდენობით:

30 კაპიკს ს‍საათში — კონტეინერისათვის, რომლის ბრუტო მასა 10 ტონაა;
20 კაპიკს საათში — კონტეინერისათვის, რომლის ბრუტო მასა 5 ტონაა
10 კაპიკს საათში — კონტეინერისათვის, რომლის ბრუტო მასა 3 ტონაა;
5 კაპიკს საათში — კონტეინერისათვის, რომლის ბრუტო მასა 3 ტონაზე ნაკლებია".

4. 139-ე მუხლის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კონტეინერების დაგვიანებისათვის ჯარიმა გადახდებათ უდავო (უაქცეპტო) წესით, მიუხედავად კონტეინერებით ტვირთის გადაზიდვის გეგმის შეუსრულებლობისათვის გადახდილი ჯარიმისა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

93 მუშებისა და მოსამსახურეების, აგრეთვე მასწავლებლების, ექიმებისა და სხვა სპეციალისტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ და მუშაობენ სოფლად და უფლება აქვთ ისარგებლონ საკარმიდამო მიწის ნაკვეთებით

საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 77-ე მუხლის II პუნქტის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს ნუსხა მუშებისა და მოსამსახურეებისა, აგრეთვე მასწავლებლებისა, ექიმებისა და სხვა სპეციალისტებისა, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ და მუშაობენ სოფლად და რომელთაც გამოეყოფათ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი 0,25 ჰექტარამდე საცხოვრებელი სახლებითა და სხვა ნაგებობებით დაკავებული ფართობის ჩათვლით (დანართის თანახმად).

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 119 მუხლის შესაბამისად იმ მუშაკთა კატეგორიების სია, რომელთაც უფლება აქვთ ისარგებლონ სამოსამსახურო მიწის ნაკვეთებით, და წინადადება ამ ნაკვეთების ოდენობის შესახებ.

3. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 იანვრის № 1 დადგენილება „საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების იმ მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო მიწის ნაკვეთების შესახებ, რომლებიც სოფელ ადგილებში ცხოვრობენ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 30 ოქტომბერი, № 583

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 30 ოქტომბრის № 583
დადგენილების დანართი

ნ უ ს ხ ა

მუშებისა და მოსამსახურეებისა, აგრეთვე მასწავლებლებისა, ექიმებისა და სხვა სპეციალისტებისა, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ და მუშაობენ სოფლად და რომელთაც გამოეყოფათ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები 0,25 ჰექტარამდე საცხოვრებელი სახლებით და სხვა ნაგებობებით დაკავებული ფართობის ჩათვლით:

— სოფლის მეურნეობაში მომუშავე სპეციალისტები (აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ვეტერინარი ექიმები, მიწათმომწყობები, ინჟინერ-მექანიზატორები, მელიორატორები, ელექტროინჟინრები, მშენებელი ინჟინრები, ეკონომისტები, ბუღალტრები, სეტყვასთან ბრძოლის სამსახურის, მისი ფილიალების, ექსპედიციებისა და ბაზების უფროსები, მათი მოადგილეები, განყოფილებების, რაზმებისა და ჯგუფების უფროსები, უფროსი ინჟინრები და ინჟინრები, სასოფლო პუნქტების უფროსი ტექნიკოსები და ტექნიკოსები, რადიო და სატელეფონო კავშირის მუშაკები, სარემონტო სახელოსნოების ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, აგროეკონომისტები, ავტომძღოლები, რაკეტებისა და ჭურვების სპეცსაწყობების მუშაკები).

— საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები;

— რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემის ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, ტრაქტორისტები და კომბაინერები;

— საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს და „საქკოლმეურნმშენის“ ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები;

— ექიმები, დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორები, სასწავლო ნაწილის გამგეები და მასწავლებლები, პროფტექნიკური განათლების სასწავლებლების დირექციის მუშაკები და მასწავლებლები, საბავშვო ბაგა-ბაღების გამგეები და აღმზრდელები;

— სასოფლო საბჭოსა და კავშირგაბმულობის მუშაკები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინდექსი — 76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5 за 1974 год.

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/III-75 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16
საბეჭდი თაბახი 4, სააღრიცხვო თაბახი 4.

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან.

შეკვეთა № 1339 უე 04415 ტირაჟი 2100

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

6 18/102

ეროვნული
ბიბლიოთეკა